# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 23 ივნისი, 2012 წელი.

№119 (6995)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბრძოლის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ხელისუფლების ისტერიული ნაბიჯები დამარცხებისთვის ② არის განწირული







## ივანიშვილის ქონების დაყადაღებაზე ③ დასავლეთის რეაქციას უახლოეს დღეებში გავიგებთ

## ნაცმოძრაობას ფულს კრიმინალები ურიცხავენ ④

## სამეგრელო-ზემო სვანეთის ⑤ მოსახლეობა

### კვირაძალს საკითხავი

## იყო ერთი ⑦ ბებია...



### სარედაქციო ფოსტიდან

## ჯერ საერთოდ მოსვლის პირი არ უჩანს, არადა, უკვე ორი ვადით პრეზიდენტობას აპირებს

**იმ ერთი ძველი ანდაზისა არ იყოს, ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვს აბრამს რომ არქმევდნენ, სწორედ ისეა ამ ჩვენი ლეიბორისტი შალვა ნათელაშვილის საქმე. თავისი ამჟამინდელი რეიტინგით, მგონი, პარლამენტშიც ვერ შევა, არამცთუ პრეზიდენტი გახდეს და თანაც ორი ვადით.**

ხალხს არაფერი არ ეშლება. ყველამ ყველაფერი იცის. ყველას შესაფერის ნიშანს უწერს. გაპრეზიდენტების დაუოკებელი ჟინით შეპყრობილი ეს ჩვენი ბაზალეთელი შალვა უკვე რამდენჯერმე ჩაიჭრა ამ საერთო-სახალხო გამოცდებზე. თავის სატელევიზიო გამოსვლებსა თუ საგაზეთო ინტერვიუებში ყველას სამარცხვინო ბაძზე აკრავს, ეს რა სრა-სახლებს აშენებენო. არადა აგერ სულ ახლახან „იმედმა“, როგორც იტყვიან, კარგა გვარიანად გამოაჭენა, ბაზალეთში ყველა სხვა სახლისგან განსხვავებული ციხე-კოშკი უდგას, საიმედოდ გალავანშემოვლებულიო... ტელევიზიის ტრფიალი ლეიბორისტი შალვა, ჩანს, იმასაც ვერ მიხვდა, რატომ მიუძღვნა სახელისუფლებო „იმედმა“ საგანგებო რეპორტაჟი — ჩვენც გვლანძღე, ოღონდ ის ერთი ძალიან მდიდარი ქართველი შენებურად „მიწაში ჩაგვიდე“, ანუ ქართველ პუტინად გაგვისაღეო... როგორც ძველმა კომკავშირელმა, შალვამ აქაც იშვიათი უნარი გამოავლინა ხელმძღვანელობის დავალების გულმოდგინედ შესრულების თვალსაზრისით, მაგრამ ვაი, რომ ისევ ამაოდ დაშვრა...



ისევ იმიტომ, რომ თავისი დამტვრეული ბაზალეთური ინგლისურით ვერც თეთრი სახლის წინ მიიქცია ამერიკის ადმინისტრაციის ყურადღება და, ის კი არა, იქნებ საბოლოოდაც გადაისვა ხაზი როგორც საქართველოს პრეზიდენტობის პოსტის უიღბლო მაძიებელმა. მახსოვს, მაშინ ერთმა არცთუ ანტილეიბორისტმა გულდაწყვეტილმა თქვა, შალვა პრეზიდენტად კი არა, ალბათ, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორადაც ვერ ივარგებსო...

ერთი სიტყვით, თუ პარტიის დაშლას და პოლიტიკიდან საერთოდ წასვლას აპირებდა, შალვა უთუოდ სწორ და დროულ ნაბიჯს გადადგამდა. თვითონაც დაისვენებდა და ხალხსაც დაასვენებდა თავისი ვაიმეურვეობისაგან. თორემ რა გამოდის? რა და, ყველა ხედავს, რომ სულ უფრო ფართოვდება უფსკრული ხალხსა და ლეიბორისტებს შორის. უფსკრულის იმ ნაპირიდან კი, სადაც ლეიბორისტები ჯახირობენ, უკვე არანაირი ხმა აღარ აღწევს ხალხამდე.

თუმცა ლეიბორისტთა ლიდერს მაინც გადაწყვეტილი აქვს, თანაც მტკიცედ, რომ სანამ ორი ვადით არ შეასრულებს თავის პრეზიდენტობას, არსად წამსვლელი არ არის. ანუ იმ ერთი სტუმარივით იქცევა, რომელსაც სახლში არ უშვებდნენ, ის კი ფარ-ხმალს თაროზე ინახავდა.

დავით დოლზაძე,

სამართლის დოქტორი.

ქ. თბილისი. აფხაზეთიდან დევნილი.

## კოალიცია „ქართული ოცნების“ განცხადებები

# ხალხი თვითონ აფინანსებს!

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური განაცხადის შემდეგ, ხელისუფლება ცდილობს, მაქსიმალურად შეზღუდოს პოლიტიკაში მისი მონაწილეობა და ამაში არა ერთი სახელისუფლებო ინსტიტუტი ჰყავს ჩართული: პარლამენტი, რომელმაც გარდა იმისა, რომ სპეციალურად ბიძინა ივანიშვილს მიუსადაგა კანონმდებლობა, კონტროლის პალატის დაქვემდებარებაში შექმნა ფინანსური მონიტორინგის სამსახური, და სასამართლო, რომელიც მორჩილად და მყისიერად იღებს ხელისუფლებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს.




თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში გამართული მრავალათასიანი აქციების შემდეგ, ყველასთვის ცხადი გახდა, როგორი მხარდაჭერა აქვს კოალიციას. სწორედ ამიტომ, ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს, რათა წინ აღუდგეს ბიძინა ივანიშვილსა და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და ფინანსური რესურსების გადაკეტვით შეაჩეროს მისი პოლიტიკური აქტიურობა.

კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ამ ბოლო დღეებში მრავალი მხარდამჭერი გამოეხმაურა, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს, თავად დააფინანსონ და ამით საკუთარი წვლილი შეიტანონ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიაში. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები კოალიციას სთხოვენ საბანკო ანგარიშის გამოქვეყნებას, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა მსურველს არა მარტო აქციებზე მოსვლით, არამედ საკუთარი ფინანსური მონაწილეობითაც მხარში დაუდგეს კოალიციას წინასაარჩევნო საქმიანობაში და ამით თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების საქმეში.

კოალიცია „ქართული ოცნება“ მადლობას უხდის ყველას ასეთი დიდი ნდობისა და მხარში დგომისათვის და აცხადებს საბანკო ანგარიშსა და რეკვიზიტებს:

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება:

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“

სს „ბანკი ქართუ“

SWIFT5 CRTUGE@@

CR51CR0000000004933608

შემომწირველმა უნდა მიუთითოს:

1. სახელი
2. გვარი
3. პირადი ნომერი

შემოწირულობა უნდა განხორციელდეს:

1. მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული ბანკიდან
2. მხოლოდ შემომწირველის პირადი ანგარიშიდან

# ხელისუფლების ისტერიული ნაბიჯები დამარცხებისთვის არის განწირული

**2012 წლის 21 ივნისს პროკურატურა ერთდროულად შეიჭრა „გლობალ ტვ“-ს რამდენიმე ოფისში და დააყადაღა მისი ქონება – სატელიტური თეფშები და შესაბამისი აპარატურა. ხელისუფლების ამ უკანონო ქმედებას წინ უძღოდა კონტროლის პალატის მიერ კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის უკანონო დაჯარიმება 63 110 095 ლარით, რომლის მიზეზად იგი ასახელებს ბიძინა ივანიშვილის კავშირს კომპანია „გლობალ ტვ“-სთან, რისი იურიდიული დადასტურება მას არ გააჩნია.**

გარდა ამისა, საქართველოს პროკურატურამ ასევე უკანონოდ დააკავა კომპანია „გლობალ ტვ“-ს ამერიკელი თანამფლობელი და მისი გათავისუფლება ვერ მოხერხდა, სანამ ადგილზე არ მივიდა აშშ-ის კონსული საქართველოში.

ბოლო ერთი კვირის მანძილზე მომხდარი ეს სამი ფაქტი ადასტურებს, რომ სრულ აგონიაში ჩავარდნილ ხელისუფლებას აქვს ერთადერთი მიზანი – არ დაუშვას სატელიტური თეფშების გავრცელება საქართველოს რეგიონებში, რომლითაც მოსახლეობას უჩნდება ობიექტური ინფორმაციის მიღების საშუალება.

ხელისუფლების მიზანია, შეინარჩუნოს ის საინფორმაციო ვაკუუმი, რაც შექმნილია მის მიერ კონტროლირებული ტელევიზიების პირობებში. გამორიცხული არა არის, რომ ხელისუფლების შემდეგი ნაბიჯი იქნება ობიექტური ტელევიზიების დახურვა, რადგან მან საბოლოოდ გადაკვეთა წითელი ხაზი და მოქმედებს კანონგარეშე სივრცეში, მიმართავს ტერორს დემოკრატიასა და თავისუფალ სიტყვაზე.

კოალიცია „ქართული ოცნება“ აღნიშნულ ვითარებაზე ინფორმაციას ქართულ საზოგადოებასთან ერთად აწვდის საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს შესაბამისი რეაგირების მიზნით.

ის, რაც ახლა ხდება კომპანია „გლობალ ტვ“-ს მიმართ, არა მარტო საქართველოს მოსახლეობის თვალში წარმოაჩენს ამ ხელისუფლების ნამდვილ სახეს, არამედ დემოკრატიულ თანამეგობრობაში ჩვენს პარტნიორებსაც გაუიოლებს სწორი დასკვნების გაკეთებას.

კოალიცია „ქართული ოცნებისთვის“ მოულოდნელი არ ყოფილა ხელისუფლების ისტერიული ნაბიჯები. როგორც კოალიციის ლიდერმა, ბიძინა ივანიშვილმა არაერთგზის განაცხადა, ყველაფერი გეგმის მიხედვითვითარდება. სიტუაცია სულ მალე შეიცვლება, პროცესი შეუქცევადია და ოქტომბერში ქართული ოცნების გამარჯვებით დასრულდება.




## „ქართული აკადემიის“ განცხადებები

# „ყოვლად დემოკრატები“ კუბლაშვილი და მინაშვილი

**არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია „ეს შენ გეხება“ მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ინიციატივა „მასთ ქერის“ პრინციპი“, რომელიც ითვალისწინებს ამომრჩევლების მიერ ინფორმაციის თავისუფლად მიღებასა და თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობას, როგორც მოსალოდნელი იყო, პარლამენტში ყრუ „ნაციონალურ“ კედელს შეეჯახა.**

საინტერესოა ხსენებული ინიციატივის მიმართ აშშ-ის ელჩის ჯონ ბასის დამოკიდებულება. მისი თქმით, ეს უნდა იყოს „უმნიშვნელოვანესი ცვლილება, რომელიც ხელს შეუწყობს კონკურენტულ გარემოს, სიღრმეს და ინფორმაციის მასშტაბს და ხელმისაწვდომს გახდის მოქალაქეებისთვის, მიიღონ გადაწყვეტილება მომავალ არჩევნებში“.

ამ ფონზე დამაჯერებლად გამოიყურება ყოვლად დემოკრატი პავლიკო კუბლაშვილი, რომელმაც, როგორც ეს მას საერთოდ სჩვევია, წარბშეუხრელად განაცხადა – არავითარი საკანონმდებლო ცვლილება არ არის საჭირო, რამდენადაც საქართველოს რეგიონებში თავისუფალი ინფორმაციის მიღება ისედაც არ წარმოადგენს პრობლემასო.

რაც შეეხება კოლორიტულ პიროვნებასა და მესაკუთრეთა უფლებების მტკიცედ დამცველ პარლამენტარ აკო მინაშვილს, მან, თავის მხრივ, ბ-ნი ბასის პოზიციას რკინის ლოგიკა დაახვედრა – „ეს შენ გეხებას“ წევრები და ელჩი ჯონ ბასი სხვადასხვა „მასთ ქერიზე“ საუბრობენო და, რაც მთავარია, ამ სფეროში სახელმწიფო რეგულირება თავისუფალ მედიასაც შეზღუდავს და თავისუფალ ბიზნესსაცო. ამასთან, ბ-ნი აკო მინაშვილისთვის „მასთ ქერის“ ყველასათვის დღესავით ნათელი იდეა „ბუნდოვანი“ აღმოჩნდა, რაც, სხვათა შორის, სულაც არ გვიკვირს.

ამჟამად, როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, „ეს შენ გეხება“ 30 ათასი ხელმოწერის შეგროვებას აპირებს, რათა საკანონმდებლო ინიციატივა, ბოლოს და ბოლოს, იქცეს პარლამენტის განხილვის საგნად და საკითხი დადგეს კენჭისყრაზე.

„ქართული აკადემია“ დაბეჯითებით უჭერს მხარს „ეს შენ გეხებას“ ინიციატივას და აცხადებს: „მასთ ქერი“ აუცილებელია სრულფასოვანი, პლურალისტური და კონკურენტული საარჩევნო გარემოს დასამკვიდრებლად. თავისუფალი საარჩევნო გარემოს არარსებობა კი, თავის მხრივ, ეჭვქვეშ დააყენებს ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისა და მისი შედეგების ლეგიტიმურობის საკითხს.

# სააკაშვილის აღვირახსნილი ტერორი

**„გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ მიზანმიმართული და კანონიერების ჩარჩოდან გასული ფაქტობრივი დარბევა, რომელსაც ამჟამად საქართველოს ნეობოლშევიკური ხელისუფლება ახორციელებს, არის არა მარტო პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ მიმართული აღვირახსნილი ტერორი, არამედ დესტაბილიზაციის გამოწვევისა და პანიკაში მყოფი სააკაშვილის მიერ საარჩევნო პროცესის ჩიხში შეყვანის მცდელობა. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება კიდევაც სააკაშვილის ერთ-ერთი წამოცდენა – ისინი ცდილობენ არჩევნებში ჩაგვითრიონო.**

პარალელურად, ადეკვატურობის საზღვრებიდან გასული სააკაშვილი ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში კომპანია „სოკართან“ ერთად მოსახლეობას აძლევს პირობას ბუნებრივი აირის განვადებითა და შეღავათიანი პირობებით შეყვანის შესახებ, რაც ზედმიწევნით ჰგავს ამომრჩეველთა მოსყიდვას და, წინდაწინვე ვფიქრობთ, „ნაცმოძრაობის“ ინსტრუმენტად ქცეული კონტროლის პალატისა და პირადად ქ-ნი მოგელაძის ყურადღების მიღმა დარჩება.

თავისი აღვირახსნილი ქმედებებით სააკაშვილი და მისი ხელისუფლება საქართველოს რიყავს ცივილიზებული სამყაროსაგან და ქართულ სახელმწიფოს საერთაშორისო იზოლაციისაკენ მიაქანებს. ამგვარ პირობებში გაუგებარია მეგობარი და პარტნიორი ქვეყნების მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დუმილი, რომელიც საქართველოს ანტიდემოკრატიული ხელისუფლებისათვის არსებითად წამახალისებელ ფუნქციას ასრულებს.

„ქართული აკადემია“

## ინფორმაცია

### ხელისუფლებამ მედიაგარემოს მიმართ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს

**როდესაც საკითხი პირდაპირ თუ არაპირდაპირ მედიასაშუალებასა და ინფორმაციის გავრცელებას ეხება, ხელისუფლებამ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, – ამის შესახებ სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა კომპანია „გლობალტივის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენების კომენტირებისას განაცხადა.**



როგორც სახალხო დამცველმა აღნიშნა, არ იცნობს დოკუმენტებს, რის საფუძველზეც შეაფასებდა, კანონის შესაბამისი იყო თუ არა ქმედებები, რომელიც „გლობალ კონსტალტინგის“ ირგვლივ განხორციელდა, თუმცა აცხადებს, რომ განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა იზრუნოს, რომ მედიაგარემო მრავალფეროვანი იყოს.

– როგორც სიხშირულ, ასევე საკაბელო მაუწყებლებს, რომლებიც საქართველოში ახორციელებენ ზოგადად მაუწყებლობას, უნდა მიეცეთ მაქსიმალური საშუალება, რომ დაფარვის არე რაც შეიძლება ფართო იყოს, აქედან გამომდინარე არაერთი ინიციტიავა არსებობს და საჭიროა მათი განხილვის დაწყება, – განაცხადა სახალხო დამცველმა.

რაც შეეხება დაყადაღების პროცესის განხორციელების ფორმებს, მათ შორის, კონკრეტულ ობიექტებზე სამართალდამცველთა სიმრავლეს, ტუღუში ამბობს, რომ დეტალურ კომენტარს მას შემდეგ გააკეთებს, რაც ადვოკატებით ან საკუთარი საშუალებით მოიპოვებს მასალებს და მიეცემა მათი გაცნობის საშუალება.

– ეს ქმედება პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია გამოხატვის თავისუფლებასთან იქიდან გამომდინარე, რომ საკითხი ეხება კონკრეტული მედიასაშუალების სიგნალის გავრცელებას ანტენების საშუალებით. შეზღუდვა სახელმწიფომ შეიძლება, დააწესოს, თუმცა რამდენად პროპორციული და კანონიერია ეს შეზღუდვა, ამის შეფასების საშუალება მხოლოდ მასალების გაცნობის შემდეგ მექნება, – განაცხადა გიორგი ტუღუშმა.

### სოლიდარობა ყოფილ პატრულებს

**„ქართული დასის“ ლიდერი, ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია საპატრულო პოლიციის ყოფილ თანამშრომლებს სოლიდარობას უცხადებს.**

როგორც ბაღათურიამ პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, საპატრულო პოლიციაში და ზოგადად, პოლიციაში ძალიან ბევრი პატიოსანი ადამიანი მუშაობს, რომელთაც არ მოსწონთ ის უკანონობა, რასაც დღეს პრეზიდენტი და მისი მთავრობა სჩადის.

ამიტომ, ბაღათურიას განცხადებით, პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულ ყველა პოლიციელს სოლიდარობას უცხადებს და დარჩენილებს, კანონის და სახელმწიფოს დასაცავად მუშაობის გაგრძელებისკენ მოუწოდებს.

– მხოლოდ და მხოლოდ ერთი მუჭა, თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები არიან კრიმინალური რეჟიმის სამსახურში, რომლებზეც შემდგომში თანამდებობრივი თუ პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. დანარჩენების ვაჟკაცობას კიდევ ერთხელ მივესალმებით, – განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

ინტერპრესნიუსი

# ◉ განსჯა

# ივანიშვილის ქონების დაყადაღებაზე დასავლეთის რეაქციას უახლოეს დღეებში გავიგებთ



ქართულ ეკონომიკაში არსებული ვითარების ზოგიერთ თავისებურებასა და იმაზე, თუ, სავარაუდოდ, როგორ დასრულდება სასამართლოს მიერ ივანიშვილისათვის განსაზღვრული ჯარიმის გადახდა-არგადახდის საქმე, **„ინტერპრესნიუსი“** საქართველოს საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსს **ალექსანდრე თვალჭრელიძეს** ესაუბრა

**— ბატონო ალექსანდრე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ივანიშვილმა სახელმწიფოს სასარგებლოდ სულ 75 მილიონ ლარზე მეტი 7 დღეში უნდა გადაიხადოს. ივანიშვილი ჯარიმის გადახდაზე უარს ამბობს, მაგრამ 7 დღის გასვლის შემდეგ თანხის იძულებით გადახდის აღსრულების პროცედურები შეიძლება დაიწყოს. ბევრს საუბრობენ, რომ სააღსრულებო ბიურომ ივანიშვილის ქონების დაყადაღება შესაძლოა, „ქართუ ბანკში“ განახორციელოს. თუმცა, ზუსტად არც ისაა ცნობილი, არის თუ არა ბიძინა ივანიშვილი ბანკ „ქართუს“ ბენეფიციარი დამფუძნებელი. უდავოა, რომ ეს თემა მომავალი კვირის უმთავრესი საკითხი იქნება. თქვენი აზრით, როგორ განვითარდება პროცესები?**

— რაც მე ვნახე, ვგულისხმობ სასამართლოს მიერ ჯარიმის განსაზღვრას, მეჩვენება, რომ თანხის დათვლაში მეთოდოლოგიური კაზუსია და კონტროლის პალატის გათვლები მეტად არაპროფესიულია. არა მგონია, ხელისუფლება ივანიშვილის ქონების დაყადაღების გზას დაადგეს. ბატონი ივანიშვილი არის ძალიან სერიოზული პოლიტიკური პარტიის ლიდერი და არა მგონია, საერთაშორისო საზოგადოებამ და ჩვენმა მეგობარმა ქვეყნებმა ივანიშვილზე ისეთი სახის ზეწოლა დაუშვან, როგორსაც ხელისუფლება გეგმავს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. პოლიტოლოგი არ გახლავართ, მაგრამ არც მსმენია, რომ პოლიტიკურ ოპონენტებზე იმ სახის ფინანსური ზეწოლა ხორციელდებოდეს, როგორიც ახლა ივანიშვილის წინააღმდეგ ხორციელდება. პირიქით კი ხდება ხოლმე. მხედველობაში მაქვს ის, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ იმართება სასამართლო პროცესები ყოფილ პრეზიდენტებზე. საფრანგეთის პრეზიდენტის შირაქის წინააღმდეგ სულ ახლახან გაიმართა სასამართლო პროცესი. ასეთი სასამართლო ნიკოლა სარკოზისაც ელოდება. ყველამ კარგად ვნახეთ, რა დაემართა უკრაინის ექსპრემიერ-მინისტრს იულია ტიმოშენკოს. როგორც წესი, არჩევნებამდე ასეთი სასამართლო პროცესები არ იმართება ხოლმე.

**— ამ საკითხან დაკავშირებით პროცესები სწრაფად ვითარდება. თქვენთან დარეკვამდე „ელიტა ბურჯის“ ოფისიდან კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა ანტენების გატანა დაიწყეს. ანტენების გატანა დაიწყეს რეგიონებშიც. პროკურატურის მტკიცებით, შესაძლო დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით საგამოძიებო მოქმედებები „გლობალ კონტაქტ კონსალტინგში“ დაიწყო და მიიღეს გადაწყვეტილება ანტენების დროებითი დაყადაღების შესახებ. თქვენ როგორ შეაფასებდით იმას, რაც ხდება?**

— სხვა საქმეა, იყო თუ არა სამართლიანი სასამართლოს გადაწყვეტილება. მაგრამ, რაც კეთდება, კანონის ფარგლებში კეთდება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ორი დღის წინათ მიიღეს გადაწყვეტილება დაყადაღების შესახებ და გამოიწერა სააღრიცხვო ფურცელი. რამდენადაც ვიცი, ამ კომპანიებს ამის შესახებ ეცნობა. ამიტომ, ის, რაც ხდება, მოულოდნელი ნამდვილად არ იყო. სხვა საქმეა, დაემართებოდა ეს ბატონ ბიძინა ივანიშვილს რომ არ წასულიყო პოლიტიკაში? ჩემი პასუხია — ცალსახად არა.

**— ბრძანეთ, სხვა საქმეა სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლიანობა, ანუ ამ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილება თქვენში ეჭვს იწვევს?**

— სასამართლოს გადაწყვეტილებაში არის დაშვებული მეთოდოლოგიური კაზუსი, რომელიც სპეციალისტებმა უნდა გადაწყვიტონ. ეს ადვოკატებს უნდა გაეკეთებინათ და, როგორც ჩანს, არ ან ვერ გააკეთეს.

**— როგორი იქნება ხელისუფლების მოქმედებაზე საერთაშორისო თანამეგობრობის, იმავე ვაშინგტონისა და ბრიუსელის რეაქცია?**

— ივანიშვილის ქონების დაყადაღებაზე დასავლეთის რეაქციას უახლოეს დღეებში გავიგებთ.

**— ბატონო ალექსანდრე, რუსულმა კომპანია „ჯეოპრო მაინინგმა“ „მადნეული“ და „კვარციტი“ რუსულ კომპანია „კაპიტალინვესტს“ მიჰყიდა. როგორც გაირკვა, „კაპიტალინვესტის“ უკან პეტერბურგელი მსხვილი ბიზნესმენები დმიტრი ტროიცკი და დმიტრი კორჟევი დგანან. თქვენი აზრით, რას შეიძლება უკავშირდებოდეს „მადნეულისა“ და „კვარციტის“ მფობელების გამოცვლა? იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთში მსხვილ ბიზნესს პუტინი აკონტროლებს, საერთოდ გაუგებარია საქართველოს უმნიშვნელოვანესი საწარმოს მფლობელი რატომაა მაინცადამაინც რუსული კომპანია? ხომ არ შეიძლება ვივარაუდოდ, რომ „მადნეულისა“ და „კვარციტის“ მორიგი გასხვისება ფარულ რუსულ-ქართულ ურთიერთობებს უკავშირდება?**



— კითხვის ბოლო ნაწილზე ვერ გიპასუხებთ, რადგან არ ვიცი. ვარაუდი ბევრი რამის შეიძლება, მაგრამ დამტკიცება — ცოტა რამის. ფაქტია, რომ ტრადიციული კავშირების გამო რუსეთი ქართული სივრცით და ქართული ბიზნესით აშკარად არის დაინტერესებული. დანარჩენი ბატონ პუტინს უნდა ჰკითხოთ.

კომპანია „ჯეოპრო მაინინგის“ წასვლა უკავშირდება იმას, რომ 2012 წლის თებერვალში აუქციონზე გაიყიდა ლიცენზია 2014 წლის 15 აპრილიდან. მანამდე მოქმედებაში იყო კომპანია „ჯეოპრო მაინინგის“ ლიცენზია. თებერვალში ჩატარებულ კონკურსში „ჯეოპრო მაინინგმა“ მონაწილეობა არ მიიღო. ეტყობა, ამ ორ კომპანიას შორის მოხდა გარიგება და „ჯეოპრო მაინინგი“ ქართული ბაზრიდან გარკვეული საფასურის ან სხვა რაღაც პირობებით წავიდა.

110, 5 მილიონ ლარად ნაყიდია ლიცენზია, რომელიც ძალაში 2014 წლის 15 აპრილიდან შედის. ვინაიდან „ჯეოპრო მაინინგის“ ლიცენზიის ვადა 2014 წლის 14 აპრილს იწურებოდა, ამ ორ კომპანიას შორის რა გარიგება მოხდა, არავის იცის, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ „ჯეოპრო მაინინგი“ საქართველოდან ვადაზე 2 წლით ადრე, ნებაყოფილობით წავიდა.

**— ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკური ზრდა 6,8%-ს შეადგენს. თქვენი კოლეგა ექსპერტების შეფასებით, ეკონომიკური ზრდა მოსახლეობაზე იმის გამო არ აისახება, რომ ქვეყანაში ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება. რეგიონებში პრეზიდენტის პრაქტიკულად ყოველდღიურმა ყოფნამ ცხადყო, რომ განუხორციელებელი დარჩა ფოთისა და ქუთაისის ინდუსტრიულ ზონებად გადაქცევისა და სოფლის მეურნეობაში განსახორციელებელი პროექტები. ბევრი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას არც ეკონომიკის და არც სოფლის მეურნეობის გრძელვადიანი განვითარების გეგმა არა აქვს და ერთჯერადი ეკონომიკური აქტივობებით შემოიფარგლება, რაც შედეგის მომტანი აშკარად არაა. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— მარტო ამაში არ არის საქმე. ინფრასტრუქტურული პროექტები ქმნის ისეთივე სამუშაო ადგილებს, როგორსაც ქმნის ქარხანა და ფაბრიკა. საქმე ისაა, რომ 6,8%-იანი ზრდა იფარება 10%-იანი ინფლაციით.

მე უკვე ათი წელია, ვაცხადებ, რომ საქართველოში არ არსებობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგრამა. ჩემთვის გაუგებარია, თუ რას აკეთებს საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ამ სამინისტროში ეკონომიკის სტრატეგიული დაგეგმარების დეპარტამენტიც კი არ არსებობს. ამიტომაცაა, რომ ხან სიმინდს ვთესავთ და ხან ბურებს ჩამოგვყავს, ხან კიდევ სხვა რაღაცას ვაკეთებთ.

**— ამას წინათ პრეზიდენტმა ბანკირები მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო მკაცრად გააკრიტიკა. დაზუსტებული მონაცემებით, ბანკების 70 ათასი მოვალე სესხების გადახდას ვერ ახერხებს. რა ხდება ქართულ საბანკო სისტემაში? ბევრი იმაზეც საუბრობს, რომ მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით საბანკო სისტემაში ხელისუფლების ჩარევას შესაძლოა, არა ერთი ბანკი შეეწიროს. რამდენად რეალისტურია ამგვარი პროგნოზი?**

— არა მგონია. ჩვენი ძირითადი ბანკების ძირითადი აქციონერები არიან საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ან ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი. ისინი, როგორც ჩვენი ბანკების ერთ-ერთი აქციონერები, ამას არ დაუშვებენ. მაგრამ ჩვენს ბანკებში მაღალი საბანკო განაკვეთები იმით არის განპირობებული, რომ სესხს, რომელსაც აძლევენ, ფაქტობრივად არავითარი გარანტიით არ არის დაფარული. ერთი მხრივ პრეზიდენტი მართალია, მაგრამ ბანკებისაც უნდა გავიგოთ. სახელმწიფო სტრატეგიულ პროექტებში სახელმწიფო გარანტიებს არ გასცემს. ამ პროექტებში რომ სახელმწიფო გარანტიები არსებობდეს, მაშინ საბანკო კრედიტების განაკვეთი უფრო დაბალი იქნებოდა. ჩვენ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ბანკები სესხს სხვა საბანკო რესურსებიდან იღებდნენ და აქ დებენ და მას თავისი მარჟაც უნდა ჰქონდეს. ჩვენი საბანკო სისტემა საკმაოდ სუსტია და ეს მარტო ჩვენთვის, არამედ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანთან შედარებით ჩვენთან საბანკო სამოთხეა.

**— რუსულ გამოცემა „კომერსანტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოს ეკონომიკის ექსმინისტრმა კახა ბენდუქიძემ არჩევნებში ივანიშვილის გამარჯვების შანსები „ფანტასტიკური ჟანრის სფეროდ“ მიიჩნია, მაგრამ მის ინტერვიუში საინტერესო იყო სხვა რამ, კერძოდ, მისი აზრით, „ქართული ოცნების“ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ქვეყნის საგარეო ვალი მნიშვნელოვნად გაიზრდება. თქვენი აზრით, რა გათვლებს ეფუძნება ბენდუქიძის პროგნოზი? და კიდევ, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს საგარეო ვალი დღეს იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე ოფიციალურად ცნობილი 9 მილიარდი აშშ დოლარი?**

— არ ვიცი, რა გათვლებს ეფუძნება ბენდუქიძის გათვლები და ეს მას უნდა ჰკითხოთ. არა მჯერა, რომ ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში საქართველოს საგარეო ვალი გაიზრდება. მეჩვენება, რომ ჩვენ ძალიან საინტერესო და დაძაბული საპარლამენტო არჩევნები გველის.

არავითარი საბაბი იმისა, რომ საგარეო ვალი გაცილებით მეტია, ვიდრე ვიცით, არა მაქვს. ეს ყველაფერი ღიაა, ოფიციალურად ქვეყნდება და საგარეო ვალი უფრო დიდი რომ ყოფილიყო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ალბათ, განგაშს ატეხავდა.

**კობა ბენდელიანი**

## ◉ ინფორმაცია

# „გლობალტივის“ საწყობი უკანონოდ დალუქეს

**„გლობალტივის“ საწყობი, რომელიც დაბა შეკვეთილში, გასართობ ცენტრ „ციცინათელას“ მიმდებარე ტერიტორიაზეა განთავსებული, ქონების აღრიცხვის გარეშე დალუქეს. ამის შესახებ საწყობის უფროსმა ბექა ლომიძემ აღნიშნა.**

**მისივე თქმით, შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 23 ათასი ერთეული ანტენა და სხვა დამხმარე ტექნიკაა დასაწყობებული, რისი გადათვლა და აღრიცხვა არ მომხდარა. ლომიძის თქმით, პოლიციამ ქონების აღრიცხვა დაიწყო, თუმცა, იმის გამო, რომ პროცესი დიდ დროს და რესურსს მოითხოვდა, პოლიციელებმა მიიღეს გადაწყვეტილება, საწყობი ქონების აღრიცხვის გარეშე დაელუქათ.**

**კომპანიის ადვოკატი ირაკლი შავაძე კი, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში საწყობის ტერიტორიაზე რჩებოდა, ქონების აღურიცხავად დაყადაღებას უკანონობას უწოდებს და აცხადებს, რომ ქონება აუცილებლად უნდა დათვლილიყო და შესაბამისი ოქმი შედგენილიყო. დალუქვის პარალელურად, საწყობის ტერიტორიაზე პოლიციამ ოთხი ვიდეოკამერა დაამონტაჟა, რითაც მთელი გარეპერიმეტრის გაკონტროლებაა შესაძლებელი.**

**შავაძის შეფასებით, აღნიშნული ქმედება არაკანონიერია, რადგან სასამართლოს განჩინებაში სათვალთვალო კამერების დამონტაჟების შესახებ არაფერი წერია.**

ინტერპრესი

გარიგება

# ნაცმოძრაობას ფულს კრიმინალები ურიცხავენ



ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ თუკი ვინმეს კოალიცია „ქართული ოცნებისთვის“ თანხა შეუწირავს, ზოგი დააჯარიმეს, ზოგის დაშინებას ცდილობენ და აბსოლუტურად ყველა მათგანს უკანონო მოქმედებებში ადანაშაულებენ. **თვითონ ნაცმოძრაობას კი, როგორც ირკვევა, მიმდინარე წელს ფიზიკური პირებისგან შემოწირულობის სახით ყველა სხვა პარტიაზე მეტი თანხა – 1 768 492 ლარი მიუღია.** მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 19 ივნისამდე პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული შემოწირულობების შესახებ ინფორმაციას კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახური ავრცელებს.

საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად, ფიზიკურ პირს პოლიტიკური პარტიისთვის მაქსიმუმ 60 000 ლარის ოდენობის შეწირულობის განხორციელების უფლება აქვს. სწორედ, 60 000 ლარი აქვთ გადარიცხული „ნაცმოძრაობისთვის“ ამირან ქორთიაშვილს, ჯამბულატ ჯაყელს, მიხეილ ესიაშვილს, ზურაბ გოზალიშვილს, გიორგი დევაძეს, ნიკოლოზ ღონიაშვილს, კახაბერ დამენიას, იზაბელა გუტიძეს, დავით ჩანტლაძეს, შოთა აბულაძეს, მურად წკრიალაშვილს, ნოდარ ალადაშვილს, იაგო ჩოჩელსა და იაგო გვირიტიშვილს. „ნაცმოძრაობის“ შემწირველებს შორის ასევე არიან ლევან ბოზოხიძე, დემიკო ჩოჩელი, სერგო ღვინიაშვილი, ვასილ სულხანიშვილი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ იმ ადამიანებს შორის, ვინც „ნაციონალურ მოძრაობას“ თანხა გადაურიცხა, არიან ისეთებიც, რომლებიც თავის დროზე სხვადასხვა ბრალდებით იყვნენ დაკავებულები. როგორც ჩანს, შემდეგ მათსა და ხელისუფლებას შორის გარკვეული გარიგება შედგა, რადგან დღეს ეს ადამიანები არათუ თავისუფლები არიან, არამედ „ნაცმოძრაობას“ საკმაოდ სოლიდურ თანხებსაც ურიცხავენ.

კერძოდ, **12 ათასი ლარი გადაურიცხა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ზურაბ ინასარიძემ, შპს „იბერია თრეიდინგის“ მფლობელმა, რომელიც კუდ-ის მიერ იყო დაკავებული, როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი.** კუდ-ის ინფორმაციით, რომელიც ამავე უწყების ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული, აღნიშნული ჯგუფის წევრებმა კორუფციული გარიგებების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს დაუმალეს რამდენიმე ათეული ათასი ლარის საბაჟო გადასახადები.

**ელგუჯა ბერუაშვილი, რომელმაც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 20 ათასი ლარი გადაურიცხა, ასევე კუდ-ის მიერ იყო დაკავებული, როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი.** ორგანიზებული ჯგუფი კი შედგებოდა საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის, ბუნებრივი თხევადი გაზისა და მაგისტრალური გაზსადენების სისტემების ზედამხედველობის სამმართველოს თანამშრომლებისგან. მათ ბრალად ედებოდათ დიდი ოდენობით ქრთამის აღება, რაც ითვალისწინებდა 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მსხვილ შემწირველებს შორის არიან ის ადამიანები, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ მოქმედმა ხელისუფლებამ კრიმინალური ქმედებებისთვის დააკავა. მაგალითად, **მმართველ პარტიას 40-40 ათასი ლარი შეწირეს ფიზიკურმა პირებმა – სერგო ლაბარტყავამ და თამაზ ჯამაგიძემ. კუდ-ის თანამშრომლებმა ისინი 2010 წლის 30 მარტს დააკავეს, როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, რომლებმაც, შსს-ს ინფორმაციით, მეწარმეს თაღლითურად გამოსძალეს 370 000 ლარი, რის სანაცვლოდაც ჰპირდებოდნენ ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხული თანხების შემცირებას.** აღნიშნული დანაშაული ითვალისწინებს 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, თუმცა, როგორც კონტროლის პალატის მასალებშია მითითებული, ამ ადამიანებმა წელს სოლიდური თანხები შეწირეს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“.

პოლიტიკური ექსპერტი რამაზ საყვარელიძე ფიქრობს, რომ ამ ყველაფერს მარტივი გარიგების სახე აქვს.

**„ფაქტობრივად ეს შემოწირულობა კი არ არის, არამედ გადასახადის გადახდაა იმ „სიკეთისთვის“, რაც დაპატიმრებულებმა თავის დროზე მიიღეს. როგორც ჩანს, ამ ადამიანების განთავისუფლება მარტივი მერკანტილური მოტივით განხორციელდა, რადგან ახლა ნაციონალური მოძრაობის წევრები ამის სამაგიეროს ლებულობენ“,** – აცხადებს ექსპერტი.

„ნაციონალური მოძრაობის“ შემოწირულობების კანონიერებაში „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ შეაქვს ეჭვი და კონტროლის პალატისგან შემომწირველთა გადამოწმებას ითხოვს.

„ქდმ“-ს წევრი ლევან ვეფხვაძე for.ge-სთან საუბარში ნაციონალური მოძრაობის შემწირველებს ორ კატეგორიად ჰყოფს. პირველ კატეგორიაში არიან პირები, რომლებიც კონკრეტულ იურიდიულ პირს, სს „მადნეულს“ წარმოადგენენ და ვეფხვაძის ვარაუდით, ისინი არა თავის თანხებს, არამედ სწორედ ამ იურიდიული პირის კუთვნილ თანხებს სწირავდნენ მმართველ პარტიას, ხოლო ვინაიდან კანონით იურიდიული პირისგან შემოწირულობის მიღება პოლიტიკურ პარტიას ეკრძალება, ამიტომ ეს აქტი ამ ფიზიკური პირების მეშვეობით განხორციელდა.

**„როდესაც კონკრეტული კომპანიის მენეჯმენტი ასე ჩალაგდება და შემოწირულობას იხდის, ეს უკვე არის იმის საფუძველი, რომ ვიფიქროთ, ვინაიდან იურიდიულ პირს შემოწირულობის გაკეთება ეკრძალება, ის თავის თანხებს ფიზიკურ პირებზე გასცემს და შემდეგ უკვე ამ პირებს შეაქვთ ეს ფული კონკრეტული პარტიის ანგარიშზე. ვინაიდან კონტროლის პალატამ ასეთი ქმედება „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებულ რომელიღაც კომპანიასთან მიმართებაში დააფიქსირა, იმედი მაქვს, რომ ახლაც იგი მომხდარით დაინტერესდება და ამ ფაქტებსაც მიეცემა შესაბამისი რეაგირება“,** – აცხადებს ლევან ვეფხვაძე.

„ნაცმოძრაობის“ შემწირველთა მეორე კატეგორიაში კი, მისი თქმით, არიან ადამიანები, ვინც დაიჭირეს, რაღაც თანხებს ედავებოდნენ, შემდეგ ამ ადამიანებმა მათზე რიცხულ ვალებზე გაცილებით ნაკლები გადაიხადეს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ შემწირველები გახდნენ.

**„მე ვფიქრობ, რომ აქ უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია ჩადენილი არა იმის მიერ, ვინც გადაიხადა ეს ფული, არამედ იმის, ვინც მას ამის გადახდა დააძალა, რადგან ეს ნიშნავს იმას, რომ ეს თანხები სახელმწიფო ბიუჯეტს მოაკლდა და „ნაციონალური მოძრაობის“ ყულაბაში წავიდა. აქ უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია, მაგრამ ამ შემთხვევაში იმის თქმაც მიჭირს, ვინ უნდა გამოიძიოს ეს დანაშაული, რადგან მისი ჩამდენები სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებმაც წესით ამ საქმეზე მოკვლევა უნდა ჩაატარონ“,** – აღნიშნავს ვეფხვაძე.

**რუსიკო უშიკიშვილი,**
**For.ge**

SIC!

# ზურაბ არსოშვილის „თელასში“ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა ბევრ ეჭვს აღძრავს



**ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის უკვე ყოფილი მოადგილე ზურაბ არსოშვილი სააქციო საზოგადოება „თელასის“ კომერციულ დირექტორად დაინიშნა. ამ საკადრო ცვლილებამდე კი, გავრცელდა ინფორმაცია, რომ „თელასს“ ბიძინა ივანიშვილი ყიდულობს. თავად ივანიშვილმა ეს ინფორმაცია არც უარყო და არც დაადასტურა. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტისა და მაღალჩინოსნის „თელასის“ კომერციულ დირექტორად დანიშვნამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.**

**რა შეიძლება გამხდარიყო ზურაბ არსოშვილის „თელასში“ წამყვან თანამდებობაზე დანიშვნა და იყო თუ არა ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება, ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ეკონომიკის საკითხებში ექსპერტს ნოდარ ხადურს ესაუბრა.**

**– ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენლის, ყოფილი გუბერნატორისა და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ისეთ კომპანიის კომერციულ დირექტორად დანიშვნა, რომელიც რუსეთის სახელმწიფო კომპანიის მფლობელობაშია, ძალიან უცნაურია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს და რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებები ერთმანეთთან თანხვედრაში მოდის. როდესაც საქართველოს ხელისუფლება რუსეთის ხელისუფლების ლანძღვითაა დაკავებული და რუსული სახელმწიფო კომპანია საქართველოს ხელისუფლების კადრს თავის კომპანიის მაღალ თანამდებობაზე ნიშნავს, ძალიან ბევრ ეჭვს აღძრავს. შესაძლებელია თუ არა ეს საკადრო ცვლილება ბიძინა ივანიშვილის მიერ „თელასის“ შესყიდვის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას უკავშირდებოდეს?**

– არც ესაა გამორიცხული, მაგრამ რა თანამდებობაც არ უნდა ეკავოს არსოშვილს, თუ „თელასის“ ამჟამინდელმა მფლობელებმა მისი გაყიდვა გადაწყვიტეს, ხელს ვერაფრით შეუშლის. ამიტომ, არ მგონია, აღნიშნული საკადრო ცვლილება კომპანიის გასხვისების ჩაშლას უკავშირდებოდეს.

**– თანმდებობის გათვალისწინებით, არსოშვილი რამდენად შესაძლებელია, ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყარო გახდეს? შეძლებს თუ არა ის კომპანიის ისეთი სერიოზული გადაწყვეტილებების კონტროლს და ინფორმაციის მიღებას, რაც საქართველოს ხელისუფლებას დააინტერესებს?**

– კომერციული დირექტორის უფლებამოსილება ნამდვილად იძლევა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას. გარკვეული ინფორმაციის მიღებას არსოშვილი მართლაც შეძლებს, მაგრამ ეს საკადრო ცვლილება სხვა ფაქტორებს უფრო უკავშირდება.

**– კერძოდ?**

– ხელისუფლება ცდილობს წინასაარჩევნოდ ყველა რესურსი გამოიყენოს. ამიტომ გამორიცხული არ არის, „თელასიც“ წინასაარჩევნო აქტივობებისთვის გამოიყენოს.




**მედიანიუსი.**

ინფორმაცია

# „ქართუ ჯგუფსა“ და ბანკ „ქართუს“ აღსრულების ბიურო აფრთხილებს

**აღსრულების ეროვნული ბიურო „ქართუ ჯგუფისგან“ და ბანკი „ქართუსგან“ სააქციო საზოგადოების აქციონერთა ვინაობის შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდებას ითხოვს.**

**ამასთან დაკავშირებით თბილისის აღსრულების ბიუროს ხელმძღვანელმა ნინო გოგელაშვილმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა.**

**მისი თქმით, აქციონერთა შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა „ქართუ ჯგუფს“ სააღსრულებო ბიურომ ორი დღის წინათ გადაუგზავნა.**

**– მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ვალდებულების შესრულება არ წარმოადგენდა სირთულეს და მოითხოვდა მცირე დროს, სს „ქართუ ჯგუფისა“ და ბანკი „ქართუს“ დირექტორის ნოდარ ჯავახიშვილის მიერ აღმასრულებლის კანონიერი მოთხოვნა ამ დრომდე არ სრულდება. აღსრულების ეროვნული ბიურო იმედს გამოთქვამს, რომ „ქართუ ჯგუფი“ შეასრულებს კანონის მოთხოვნას, – აღნიშნა გოგელაშვილმა. მისი ინფორმაციით, აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაშია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული ორი სააღსრულებო ფურცელი, რომელთა თანახმადაც, ბიძინა ივანიშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის სახით თანხა 74.325.065 ლარის ოდენობით. როგორც ცნობილია, ივანიშვილი ჯარიმის გადახდაზე უარს ამობს.**




ინტერპრესი

◉ დემოგრაფია

# სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა

**სამეგრელო-ზემო სვანეთი საქართველოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული რეგიონია. სამეგრელოს სახელწოდება მომდინარეობს ძველი ეგრისიდან, რომელიც თავდაპირველად დასავლეთ საქართველოსთან იყო გაიგივებული. შუა საუკუნეებში აქ სამთავრო ჩამოყალიბდა და რადგან იგი ოდიშის სამთავროს ბაზაზე შეიქმნა, სახელიც აქედან მიიღო — ოდიში. ოდიშის მთავართა პირველი დინასტია დადიანთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. მას ხშირად ქვემო სვანეთიც ემორჩილებოდა. ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, სამეგრელოს სამთავრო იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა.**

თავდაპირველად სამეგრელოს მთავრის ძირითადი რეზიდენცია ჭაქვინჯი იყო, ხოლო XVI საუკუნიდან ზუგდიდი გახდა.

სამეგრელოს სამთავრო დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ეკონომიკაში. მას სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან, ტრაპიზონის იმპერიასთან, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებთან. სამეგრელოს უმნიშვნელოვანესი ნავსადგურები ფოთი და ცხუმი (ახლანდელი სოხუმი) იყო. ფოთში იტალიელთა მნიშვნელოვანი დასახლება იყო, ხოლო ცხუმში — გენუელთა სავაჭრო კოლონია.

შავ ზღვაზე ოსმალთა გაბატონების შემდეგ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა შეწყდა, XVI-XVII საუკუნეებში ვაჭრობა ევროპის სახელმწიფოსთან ოსმალების მეშვეობით წარმოებდა. სამეგრელოს სამთავროს რუსეთთან შეერთების შემდეგ, მთავარ ნავსადგურად ყულევი გადაიქცა. სამეგრელოს სამთავროში ზღვით შემოდიოდა ხელოსნური ნაწარმი, მარილი, აქედან კი ხე-ტყე, აბრეშუმი, თაფლი, ღვინო, ტყავი და ბეწვი გაჰქონდათ.

სამეგრელოს მოსახლეობა 1770 წელს 75,6 ათას კაცს უდრიდა, ხოლო 1800 წელს — 106,4 ათასს, ლეჩხუმთან ერთად, რუსეთის იმპერიის 1897 წლის აღწერის მიხედვით, სამეგრელოს მუდმივი მოსახლეობა 236,4 კაცს შეადგენდა, ხოლო რუსეთის ხელისუფლების მიერ აღწერილი ეთნოგრაფიული ჯგუფების იმერლების, მეგრელების, სვანების და ა.შ. მიხედვით ამავე წელს საქართველოში 239 ათასი მეგრელი ცხოვრობდა.



საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ძველთაგანვე სამეგრელოში თითქმის ყველამ იცოდა ქართული ენა. ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელმაც 1673 წელს იმოგზაურა სამეგრელოში და ვრცლად აღწერა საკუთარი თვალით ნანახი უამრავი ფაქტი და მოვლენა, აღნიშნავს: „რადგან მეგრელებს საკუთარი ენისათვის ანბანი არ გააჩნიათ, ისინი ქართულ ანბანს იყენებენ როგორც საღმრთო წერილისათვის, ისე საერთოდ ყოველგვარი დამწერლობისათვის... ამიტომ ყველამ იცის ქართული.“

სვანეთი ადრინდელ საუკუნეებში კოლხეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო, შემდეგ — ეგრისის სამეფოსი. XI-XV საუკუნეებში იგი საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს ერთ-ერთი საერისთავო იყო. ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ (XV საუკუნე) რამდენიმე ნაწილად დაიყო: სვანეთის სამთავრო (ზემო სვანეთის დასავლეთი ნაწილი), ენგურის ხეობა, ბალის ქედის ქვემო მხარე და ზემო სვანეთის აღმოსავლეთი ნაწილი — იგივე გვიანდელი პერიოდის „თავისუფალი სვანეთი“. სვანეთის სამთავრო XVII საუკუნეში დაახლოებით 66 სოფელს, 1000-მდე კომლს, ანუ 9500-10000 მცხოვრებს ითვლიდა. სოციალურ პოლიტიკური წყობა და ურთიერთობანი ძირითადად საქართველოს ბარის მსგავსი იყო. 1897 წელს სვანეთში 15 ათასი კაცი ცხოვრობდა.

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე მოიცავს ზუგდიდის, აბაშის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებს და ქალაქ ფოთს.

სამეგრელოს მოსახლეობის რაოდენობა 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 447 ათასი კაცი იყო და ქვეყნის მოსახლეობის 10,7 პროცენტს შეადგენდა. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მას მეოთხე ადგილი უკავია თბილისის, იმერეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების შემდეგ. მისი მოსახლეობა წლების განმავლობაში უმნიშვნელოდ იზრდებოდა, ხოლო წილი ქვეყნის მთელ მოსახლეობაში თანდათან მცირდებოდა. მაგალითად, სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა 1970 წელს 412 ათასს უდრიდა, 1979 წელს — 424 ათასს, ხოლო 1989 წელს — 425 ათას კაცს, წილი კი ქვეყნის მთელ მოსახლეობაში შესაბამისად — 8,8; 8,4 და 7,8 პროცენტს. ასეთი ვითარება ამ პერიოდში (1970-1989 წლები) გამოწვეული იყო ინტენსიური გარემიგრაციული პროცესებით.

იხ. 8 გვ.

◉ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა

# კონკურენციის სააგენტოს ჩალის ფიტული

**ეკონომიკური განვითარების ნებისმიერ სტადიაში მყოფი სახელმწიფოსთვის ბაზარზე ქმედით ანტიმონოპოლიურ რეგულირებას თანაბარი კონკურენციის შექმნისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამასთან, ცნობილია თავად ანტიმონოპოლიური პოლიტიკისადმი ეკონომიკის ექსპერტების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება: ზოგიერთნი მას თავისუფალი კონკურენციის პირობების შესრულების აუცილებელ ინსტრუმენტად მიიჩნევენ, სხვების აზრით კი ანტიმონოპოლიური შეზღუდვები ხელს უშლის მეწარმეობის განვითარებას, ზოგადად ბიზნესს.**

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, რამდენადაც მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ეფექტიანად, ქმედითად გამოყენება მონოპოლისტების გარდა, „მზის ქვეშ“, ანუ თავისუფალ ბაზარზე დამკვიდრების საშუალებას მათზე სუსტებსაც აძლევს, რაც შეუზღუდავი კონკურენციის არსებობის ღერძია. ეს კი, თავის მხრივ, მოცემულ ქვეყანაში საშუალო კლასის თვით არსებობისა და თანდათან გაძლიერების მთავარი პირობაა, რომლის გარეშე საზოგადოება მუდმივად ზემდიდარ „პატრიციებად“ და უკიდურესად ღატაკ „პლებეებად“ იქნება დაყოფილი.

კონკურენცია, ურომლისოდაც თავისუფალი ბაზრის არსებობა ყოვლად წარმოუდგენელია, მწარმოებლური ძალების განვითარების, ეკონომიკური წინსვლისა და ნოვაციების დამკვიდრებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი რომაა, ამას, ვფიქრობთ, ყველა კარგად ათვითცნობიერებს. მისი არსებობის გარანტად სწორედაც ქმედითი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ეფექტიანობა გვევლინება. ეკონომიკური განვითარების შედეგები მთლიანად საზოგადოებაზე აისახება, ამიტომ კონკურენციის შეზღუდვა, ან, სულაც, ხელოვნურად მონოპოლისტების შექმნა და ამ გზით მისი ფაქტობრივად გაქრობა, სხვადასხვა გზით თითოეულ ჩვენგანზე უშუალოდ აისახება. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ, ვთქვათ, რომელიმე სახის ბაზარზე მხოლოდ რომელიმე ნაკლებად ხარისხიანი პროდუქციის არსებობა, რომლის ყიდვა მომხმარებელს იძულებით უწევს უალტერნატიობის გამო, საქონელზე ზედმეტად მაღალი ფასის დაწესება, მიწოდების ვადების დარღვევა, დადებული კონტაქტის პირობების არაკეთილსინდისიერად შესრულება და ა.შ.

ფაქტობრივად ყველა განვითარებულ ქვეყანაში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, ზოგან საკმაოდ მკაცრიც, განუხრელად მოქმედებს და ეს, როგორც შედეგები მოწმობს, ეროვნულ ეკონომიკაზე, სამეწარმეო ბაზის განვითარებასა და ჯანსაღ კონკურენციაზე დადებითად აისახება.



ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც ერთ დროს ეკონომიკის სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფი იყო, ჩვენშიც მოქმედებდა, თუმცა კი უაღრესად არაეფექტიანად, რის მიზეზი, უწინარესად, საკანონმდებლო ბაზის აშკარა სისუსტე და შეზღუდული უფლებამოსილებები იყო, რასაც, საბოლოო ანგარიშით, მისი საერთოდ გაუქმება, და სანაცვლოდ ახალი სამსახურის — სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტოსს შექმნა მოჰყვა. ბოლო დროს საქართველო ევროკავშირს შორის თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობებზე გადასვლის პერსპექტივის გათვალისწინებით, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის თანამედროვე საბაზრო ურთიერთობათა შესაბამისობაში მოყვანის, მისი მოდერნიზების აუცილებლობის საკითხი დადგა. საქართველოს პარლამენტში ამჟამადაც მიმდინარეობს ახალი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის განხილვა, თუმცა ეკონომიკის მრავალი ექსპერტი ევროკავშირის მოთხოვნებთან მის შეუსაბამობას, ზოგიერთი დებულების აშკარა სისუსტეზე მიუთითებს.

სადღეისოდ, ფაქტობრივად, კონკურენციის რეგულირების მხრივ უფუნქციო **სააგენტოს მთავარი ამოცანა ბაზარზე მონოპოლიების წარმოშობის, მათ მიერ გაბატონებული მდგომარეობის მოპოვებისა და მის ბოროტად გამოყენების მცდელობათა აღკვეთაა.** ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბაზარზე მონოპოლისტების არსებობისა და მათი სხვა მეწარმეთა თუ მომხმარებელთა საზიანო ქმედებათა აღსაკვეთად სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტოს არანაირი ქმედითი ინსტრუმენტი, პირველ ყოვლისა, სათანადო კანონმდებლობა არა აქვს.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ, კონკურენციის შესახებ ახალი კანონმდებლობით, **ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის სრულფასოვნად უზრუნველსაყოფად სააგენტოს დამოუკიდებელი მუშაობის საშუალება არ ექნება, რადგან მისი მოღვაწეობის პრიორიტეტულ მიმართულებებს დროის გარკვეულ მონაკვეთებში... მთავრობა განსაზღვრავს (?!). უწყებაში შესულ საჩივრებს, ასევე განცხადებებს სააგენტო მხოლოდ მთავრობის მიერ დამტკიცებული პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად განიხილავს. მეტიც: საჩივარი ან განცხადება მთავრობის მიერ დამტკიცებულ პრიორიტეტთა „ნაკადის ფარგლებს“ თუ გაცდება, ანუ სხვა სფეროს შეეხება, სააგენტო მის განხილვაზე უბრალოდ უარს იტყვის, რის შესაძლო ნეგატიურ შედეგზე არანაირი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება!** მთავრობის მიერ სააგენტოს სამოღვაწეო ასპარეზის ეს შეზღუდვა, ექსპერტთა აზრით, ახალი კანონმდებლობის არასრულფასოვნობის მკაფიო მაგალითია, რომელიც, სიმართლე გითხრათ, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. თავისთავად კი კონკურენციის სააგენტოსთვის მოღვაწეობის პრიორიტეტული მიმართულებების დადგენა გარკვეულ დაინტერესებულ ჯგუფებს ბაზარზე თავისუფლად მოქმედების საშუალებას უტოვებს, რაც, როგორც ვხედავთ, არც დღესდღეობით აკლიათ.

განსახილველი კანონპროექტის აშკარად უსამართლო დებულებაა ისიც, რომ **მომჩივანმა ან განმცხადებელმა სააგენტოს მომსახურების საფასურიც უნდა გადაიხადოს (!), ხოლო მომსახურების სახესა და საფასურის ოდენობას... მთავრობა დაადგენს (?!).** რეალურად ეს იმას ნიშნავს, რომ სააგენტოს მომსახურება მეწარმეს შეიძლება იმდენი დაუჯდეს, რომ ისევ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის პირობებში ყოფნა ამჯობინოს!

„საკვირველი“ და „გასაოცარი“ ახალ კანონპროექტში კიდევ მრავლადაა, სააგენტოს მომსახურების საფასური ამა თუ იმ შემთხვევაში კონკრეტულად გაწერილი არ არის, თუმცა კი სანქციებისა და ჯარიმების სიდიდე ყველგანაა განსაზღვრული. ეს კი სრულიად საფუძვლიან ეჭვს ბადებს იმის თაობაზე, რომ იგი ისევ მონოპოლისტების ინტერესებზე იქნება მორგებული.

**ოთარ ტურაბელიძე**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №192

# ქართული სიტყვიერების საგანძური

თაროები, მაგიდები, წიგნები და მტვერი... დიახ, დღეს წიგნები თითქოს უძრავად დევს თაროებსა და მაგიდებზე. იმტვერება მათი ყდები, ფურცლები... ახალგაზრდა თაობას ძველი თაობა დიდაქტიკურად მოუწოდებს წიგნების წასაკითხად, მაგრამ ჯერჯერობით ამაოდ... დღეს ხომ ინტერნეტის ხანაა...

საბედნიეროდ, ქართული საზოგადოების ნაწილი სიხარულით ხვდება ახალ გამოცემებს, დიდი გულისყურით ეცნობა. მათთვის და სხვა დანარჩენთათვის საქართველოში ისევ გამოდის ძვირფას ავტორთა ტომეულები....

2012 წლის 7 ივნისს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში გაიმართა ათტომეულის „ქართული სიტყვიერების“ პრეზენტაცია. ეს არის ტომები, რომლის მეშვეობითაც მკითხველი გაიაზრებს ქართული სიტყვიერების მადლს და კიდევ ერთხელ დარწმუნდება იმაში, თუ რამდენდ მნიშვნელოვანია წიგნის კითხვა.

პირველი ტომი ამ სერიისა გახლდათ „ტიციან ტაბიძე“. პოეტის ერთტომეულს უძღვის საგამომცემლო პროექტის ხელმძღვანელის, ლიტერატურის ისტორიკოსისა და ესეისტის ზაზა აბზიანიძის წინასიტყვაობა, რომელიც, ფაქტობრივად, ტიციან ტაბიძის ლიტერატურულ პორტრეტს წარმოადგენს და ერთგვარ მეგზურობას უწევს მკითხველს პოეტის ბიოგრაფიისა და შემოქმედების სამყაროში.

... **„ამგვარი ლიტერატურული პორტრეტები დართული აქვს ყველა ტომს,** – აღნიშნავს საგამომცემლო პროექტის **„ქართული სიტყვიერება“ ხელმ**ძღვანელი ბატონი **ზაზა აბზიანიძე, – გამონაკლისი მხოლოდ ბოლო,** მე-10 **ტომია („გრიგოლ რობაქიძე“),** რაც **განაპირობა სპეციფიკამ ამ კრებულისა, რომელიც რობაქიძის მემუარულ, ეპისტოლარულ, ესეისტურ და პუბლიცისტურ მემკვიდრეობას აერთიანებს და, ფაქტობრივად, ძერწავს კიდეც დიდი მწერლის ბიოგრაფიულ და შემოქმედებით პორტრეტს. აქვე აღსანიშნავია, რომ მეათე ტომს თავისი მოწვეული რედაქტორი ჰყავს – რობაქიძისეული მემკვიდრეობის შესანიშნავი მცოდნე და მკვლევარი ნინო ხოფერია. უთუოდ, ისიც სიმბოლურია, რომ დღევანდელი პრეზენტაცია სწორედ იმ მუზეუმში ტარდება, სადაც ქ-მა ნინომ არაერთი წელი, იშვიათი რუდუნებით, სხვა ხელნაწერთა შორის სწორედ გრიგოლ რობაქიძის მასალებზეც იმუშავა.**

ამ წიგნის არქიტექტონიკის (და არა მარტო უზადოდ მიგნებული ვიზუალური მხარის) დადგენასა და დახვეწაში განსაკუთრებული როლი ჰქონდა ათტომეულის მთავარ **მხატვარს – თეა ინწკირველს.**

ასეთი ძალისხმევით გამოიცა ათტომეულთა დანარჩენი ტომებიც: 2. **ტერენტი გრანელი, 3. მიხეილ ჯავახიშვილი, 4. პაოლო იაშვილი, 5. ლევან გოთუა, 6. ვაჟა-ფშაველა, 7ლეო ქიაჩელი, 8. იოსებ გრიშაშვილი (პოეტის მანამდე უცნობი ავტობიოგრაფიის თანდართვით), 9. ლადო ასათიანი.**



ალბათ, ბევრი დაგვეთანხმება, რომ ასეთი სახის პროექტები და პრეზენტაციები მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებისთვის. საფიქრელია ისიც, ვის ოჯახებში დაივანებენ ამგვარი წიგნები, მომავალში ვისთვის გახდება აუცილებლობა ამ ტიპის ლიტერატურასთან ზიარება... თანამედროვეობის სკეპტიციზმს კი უცილობლად ის წიგნები გადასწონიან, რომლებზეც დარგის პროფესიონალები მუშაობენ. ამ შემთხვევაში შედეგი სახეზეა.

ნინო გელაძე,
ნათია ამბროლაძე



24 ივნისს ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი პოეტის რეზო ამაშუკელის დაბადების დღეა... გთავაზობთ ბატონი რეზოს ლექსის ხელნაწერს – მშვენიერ ავტოგრაფს და ლექსს „რახილი“.



დღეგრძელობას და სამშობლოს გადარჩენას ვუსურვებთ რამდენიმე თაობის საყვარელ პოეტს.

**ძველებრაული ფრესკა**

## რახილი

რახილ, რა ხელმა გადმოგხატა ძველი ფრესკიდან,
ვნების ყვავილი, აკრძალული, შენ ვინ გაჩვენა?!
როს ცისკრის ვარსკვლავს იისფერი ცეცხლი ეკიდა,
მაშინ დაგწყევლა სიყვარულმა და შეგაჩვენა.
რახილ, შეხედე: იმგვარივე მზე არის დღესაც!
რახილ, რა ხელმა მოგაჩეჩა ძველი თალმუდი?!
ამღვრეულ კუროს — ზოდიაქოს გაჭყევი შენსას —
და მორჩილების სახლსა შინა აღარ დაბრუნდი!
ისმის ღიღინი მორწმუნეთა სინაღოღიდან,
შენ კი, შენ დღესაც ამქვეყნიურ ცოდვით დათვრები.
რახილ, მოახლით მოედანზე გავლა მოგინდა,
რომ კვლავ იხილო, მამრის ჯილაგს ვით ენატრები.
ისეც შხივიან ჩახსნილ მკერდში მკვრივი ატმები,
ისევ კრუტუნებს ფოცხვერივით შენში მახილი...
— რახიილ! — აღმოხდათ მოხეირეთ. მოდის რახილი:
და ვაი იმას, ვისაც ერთხელ შეუყვარდები!
ვაი, მომწვანო ზურმუხტები — შენი თვალები!
შენთან ეგვიპტის დედოფალიც იყო ბოგანო.
მაგრამ სიბერეს შენც კი ვერსად დაემალები,
რახილ, ღვთის წყრომავ, ფეხადგმულო ცოდვის გორგალო!
რახილ, ვინ მოგყავს მშვენიერი მოკლე საბელით,
ვინ არის იგი, დალალებით წითლად ნაფერით,
შენი გულისთვის თუ კაენმა მოკლა აბელი,
ო, მაშინ უნდა ეპატიოს სულყველაფერი.
რახილ, მითხარი ვისთვის გინდა მუ მსხმოიარე,
ვნების მტევნებით, მაცდუნებელ თვალთა ხამხამით?
მოდიხარ, სურვილს ხანმარივით მოაბრიალებ,
და მაღალ მკერდზე მსხვილ ალმასებს გააქვთ ხარხარი.
რახილ, მითხარი რა ხილია შენი თანმხლები,
მხრებზე ხავერდის ხენდროსფერი წამოსასხამით?
ხმაურობს ხალხი ხვავრიელად დახრილ დახლებით,
რაბინს ქათმებით ახორხლილი მისდევს ხახამი...
რახილ, მითხარი, ვისთვის გინდა მსხვერპლი ახალი,
რისთვის გაზმორებს ზეზეურად სიზმართ მორევი?
ეშმაკმა უწყის საიდუმლო შენი ზრახვანი!
ქალი არ არის ქვეყანაზე შენი მომრევი!

ჩაიარა და თან წაიღო მთელი უბანი,
მშვენიერ მხევლებს შურით დარჩათ თვალი დათხრილი.
შეუვარებული, ამაყი და თავისუფალი,
ცოდვილი სულის წარსაწყმედათ მიდის რახილი.

# იყო ერთი ბებია...


ზინობია ბერძენიშვილი

**„მო, დამიამე, მითხარი, მიამბე კაეშნით მოცულს
და ობლად შთენილს
დამიყვავე და მომეფერე, ჩემო ბებია“...**
**ანა კალანდაძე**

ის ბუნებრივად იყო კეთილსურნელოვანი. მახსოვს, რომ გარდაიცვალა, სკამზე გადაფენილ მის კაბას ვინახავდი დიდხანს, რომ მიახლოებისას მონატრებული სუნი მეგრძნო. უმეტესად ძალიან უყვარდათ, თავადაც სიყვარულს, უბრალოდ, აფრქვევდა ხოლმე. ბებიაჩემთან ყოფნა ჩემს მეგობრებსაც, ასაკის მიუხედავად, უხაროდათ. მოკლედ მითხრა ერთხელ: **„სიყვარული შეგაძლებინებს!“** ეს იყო მისი ძალა. უბრალოდ ზინას, ზინოს ეძახდნენ.

„ცხოვრების ძარღვთან კვლავ მაერთებდა
სცენა და ჩემი მაყურებელი“.

წინ მიდევს მარიკა ბარათაშვილის რედაქტორობით გამოცემული ძველი „საქართველოს ქალი“. ლილი ფინაშვილის თბილი, შესანიშნავი სტატია **„რამპის შუქზე“** – ის ჩემს ბებიას, მსახიობ ზინობია ბერძენიშვილს ეძღვნება. ბებიას გრძელი და სავსე მოღვაწეობის გზიდან (12 წლის ასაკიდან) უმთავრესი – ლამაზად და მოკლედ არის მოთხრობილი და მინდა მისი ციტატების დახმარებითაც მოვყვე:

*„სანდრო კავსაძის ბავშვთა ვოკალური გუნდის წევრმა, მომღერალმა და მოცეკვავე გოგონამ – ზინა ბერძენიშვილმა, პირველი სცენური ნათლობა ჭიათურის თეატრში მიიღო, ეს იყო ს. მებურიშვილის „სინათლე“, სადაც ერთ-ერთი ფერია ცქრიალა ზინა გახლდათ. მახსოვს, მამამ ფერიის ტანსაცმელში გამოწყობილი, ამხელა გოგო ხელში ამიყვანა და ისე წავედით სახლში. მამაჩემს ძალიან უყვარდა ხელოვნება, უკრავდა გიტარაზე, ტკბილი სიმღერები იცოდა – იგონებს ზინა.*

...რამდენიმე წლის შემდეგ „არშინ მალ-ალანით“ წარსდგნენ. დაუვიწყარია მნახველთათვის ზინა ბერძენიშვილის გულჩიორა“.

აი, უძვირფასესი ფოტოებიდან ერთ-ერთი – ლურჯხალათელთა დასი 1928 წელს და განთქმული **სანდრო კავსაძე, გიგუშა კავსაძე, გრიშა ტყაბლაძე** და სხვები. ბოლოში მართლა ფერიასავით მიმჯდარა ჩემი ბებია. **სანდრო კავსაძის** გვერდით ნიჭითა და გულკეთილობით ცნობილი **კონსტანტინე კაკაბაძე – ჩემი ბაბუა.** აქაც და მერეც **კოტე მარჯანიშვილთანაც** ბაბუას პასუხსაგები თანამდებობები ეკავა.

*ციტატა: „ყველაზე სამახსოვროდ შემორჩა ქუთაისის თეატრი მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. აქ უსმენდა ახალგაზრდა მსახიობი* ***უშანგი ჩხეიძეს, თამარ ჭავჭავაძეს, ვერიკო ანჯაფარიძეს, შალვა ღამბაშიძეს!...*** *გულში აქვს აღბეჭდილი რეპეტიციები ელვარე კოტესთან“. თურმე კოტეს გენიამ ერთი ნახვით შეაფასა ახალბედას ნიჭი.*

*ბებია მიყვებოდა:* ***„სცენაზე რომ გამოვედი შერჩევის დროს და მოვემზადე – ხელთათმანი წავიძრე, კოტემ უცებ „მიღებულია“ – დაიძახაო პარტერიდან“. მცირე ჟესტიც საკმარისი იყო მისი თვალისთვის.***

...„მაგრამ ახალმა ოჯახმა ჩამოაშორა სცენას, ბოლოს მაინც დაუბრუნდა.

„ჩამოჰკრეს ზარი უკანასკნელი,
გული ატოკდა, ვერ იტევს ბუდე,
ვდგავარ ფარდის წინ გარინდებული
ხალხისგან მფარავს პატარა ზღუდე“...

და ზევით აცურება რომ დაიწყო ფარდამ – **„დარბაზში მოწყდა მქუხარე ტაში“.** ეს ნაწყვეტები გახლავთ ბებიას ლექსიდან **„სცენა და ჩემი მაყურებელი“.** აქ ქვესათაურადაც მისი ლექსების სტრიქონებია. მძიმე გამოიარა ცხოვრების გზა, მაგრამ ძალას ანიჭებდნენ სცენა მაყურებელი, შვილები...

**„ბედი მწარედ დამცინის, მაგრამ მაინც
მხნედა ვარ.
ყველაფერს გადავიტან, მე ხომ თქვენი
დედა ვარ!“**

ისევ ციტატა – „იყო ჩოხატაურშიც, იყო რეჟისორ ფრანგიშვილთანაც ჭიათურის მუშათა თეატრის სცენაზე. იქ განასახიერა ცირუ (სამსონაძის „სალტე“), კატია (ლავრენევის „მტრები“), (ნინოშვილის „ქრისტინე“). ამ როლით მან „...თითქმის მთელი საქართველო შემოიარა“.

აი, კვლავ ისტორიული ფოტო – 30-31 წლ. ჭიათურის თეატრი. ვფიქრობ, თვალის გადავლებაც ღირს ამ სახეებზე: შესანიშნავი **ალ. იმედაშვილი, პ. ფრანგიშვილი, გ. ფრონისპირელი, თ. აბაშიძე, გრ. ტყაბლაძე...** იგონებდა ბებია თბილ მეგობრებს, უსაყვარლეს როლებს, თავის ჭიათურას...

**„შენს ასი წლის თავს ვზეიმობთ ერთად,
შავ ოქროს მტვერში გამოზრდილები,
ბევრი ჭირ-ვარამ გამოვლილები,
მოსიყვარულე შენი შვილები“.**

ძნელია მისი ლექსების გულგრილად კითხვა: ცალკე თემაა, მაგრამ რამდენიმე მათგანს აქ, უბრალოდ, გვერდს ვერ ავუვლით. აი, სამუდამო ტრფიალების დასტური თეატრისადმი:

**„ჩვენს შორის ჩადგა დათვლილი დღენი
შენებრ ფაქიზად ვის ვეამბორო,
შენებრ ძლიერად ვინ შევიყვარო?
ვინ შემიკინძოს განვლილი დღენი,
ლაღი ოცნების ტკბილი წუთები,
ვინ დაამსხვრიოს მაყურებლის წინ
უგულო ბედის შავი ხუნდები.
ვის მკერდს მივაყრდნო მოღლილი შუბლი,
გიჟურ გრძნობებით განაწამები
ვინღა მესროლოს ბნელ დარბაზიდან
ალერსით სავსე შავი თვალები...
საფლავს გამითხრის მე უშენობა
თუ ვეღარასდროს დაგიბრუნდები
სუდარად, ფარდა გადამაფარეთ,
თაიგულებად თვალთა გუნდები.**

*ციტატა: „შემდეგ მუშაობდა ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში, თბილისის სანიტარული კულტურის თეატრში ბევრი საგულისხმო როლი განასახიერა“.*

ბოლოს – მესხეთის თეატრი და იქ მოპოვებული „დიდი სიყვარული და პატივისცემა“.

**„მივალ, სადაც გულგახსნილი
ვუმღეროდი ვარდს და ბალახს,
მოვალ, სადაც მთის წვერიდან
ვუგზავნიდი სატრფოს სალამს“.**

ვკითხულობ, ბებია პირველ სიყვარულს იგონებს... მეც მტკივა, და ეს ოდნავ მიკვირს კიდეც.

**„და დამვხდა მხოლოდ შენი სურათი,
გულმა იგემა კვლავ ნეტარება“**

და ისევ და ისევ იგონებს საყვარელ მამას, თორმეტი წლისამ რომ დაკარგა, **ილია ბერძენიშვილს,** 1924-ში, ვაგონებში მხეცური დახვრეტების მსხვერპლს...

მწარე ტკივილებმა ვერ დააბერეს გულში სიყვარულის დიდი მდინარე. ხმიანებს მის არსებაში ამღერებული გურია და მიცოცხლდებიან თვალწინ წინაპრები. აი, სამი ულამაზესი და: **ბაბილინა, ეფემია, ამინადარი** – ამ საუცხოო სახელს ბებიას დედა ატარებდა, სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა და ორი პაწაწინა ობოლი დატოვა. „ბაბუა ქრისტეს ჰგავდა, ბებია – ზეპირად ჩამოყვებოდაო „ვეფხისტყაოსანს“, საფრანგეთში ნამეტია გვყავს“... და ყვება საყვარელ, გამზრდელ მამიდაზე, რომელიც თავისი ღვაწლით თუ გახდა ბოლოს „ნამეტი“, და ახლა ემიგრაციის ქართველობას ჰყავდა საფრანგეთში დედად და დიასახლისად, ისევ აღდგა მერე გაწყვეტილი ჯაჭვი, მოიძებნა მისამართი დედაჩემის და მისი ფრანგულის ლექტორის მეშვეობით და ნამეტია წერილებით დაგვიბრუნდა.

**„ბარათს შევკრავ იის ძირით,
დ ა ვ ა ბ ე ჭ დ ა ვ მრთოლავ ტუჩებს“...**

ბავშვობის ერთ მშვენიერ საღამოს მონატრებულ ბებიას წერილი ლექსად მივწერე: „გამარჯობა, როგორ ხარ, საყვარელო ბებია“... ის ძლიერ ავად გამხდარიყო მარტოობაში... ასე ვამთავრებდი:

**„ახლა უკვე ღამეა, ცას ვარსკვლავი შვენის
გწერს ამ წერილს უფროსი შვილიშვილი შენი“...**

აი ფრაგმენტი, რა თქმა უნდა ლექსად მოსული პასუხიდან:

**„ცრემლით გადავიკითხე შენი
ხელით ნაქარგი,
განაჩენი, სასჯელი, ჩემი ბედის ავ-კარგი.
გმადლობ ჩემო მერცხალო, გმადლობ ჩემო გოგონა,
დიდება იმ სიწმინდეს
რამაც ბებო მოგაგონა!
იყო არა იყო რა,
იყო ერთი ბებია,
ისე ჩაწვა საფლავში
თმა არ გათეთრებია“.**

...დიდება იმ სიწმინდეს! აი, ესეც ლექსიდან **„შვილიშვილებს“:**

**„ვეღარ მოვისმენ დაბრუნებულ
მერცხლების ჭიკჭიკს,
თვალში ციმციმა მზის სხივები
ჩამიქრებიან.
იებით მოვლენ ჩემს საფლავზე
შვილიშვილები,
თვალცრემლიანნი, ქვაზე ჩუმად
ჩამოსხდებიან“.**

* * *

თმები მაინც გათეთრდნენ. მერე მწარე სიბერით მოვიდა სიკვდილიც გაყინულ, ომგამოვლილ თბილისში. ვეღარ ვიხსენებ რამდენად დიდი ხნის მერე ამოვედი ისევ საფლავზე, დამძიმებული – ცხოვრებით, ცოდვებით, იების გარეშე... მაპატიე!

**„ჩუმად, მე არ ვანდობ ჟამს,
– რომ ვიპარავ არდავიწყების წამს“ –
ასე ჩემი ქალიშვილი წერს.**

საქართველოს დამსახურებული არტისტის **ზინობია ბერძენიშვილის** მოღვაწეობის დაწყებიდან 90 წელია გასული, მაგრამ ეს წერილი ეძღვნება ზოგადად – მის გახსენებას და... მსგავს მოგონებებს საერთოდ.

**თქვენც ხომ გყავთ ძვირფასად მოსაგონარი წინაპრები? ისინი გარდასულები გვაერთიანებენ უჩუმრად, ჩვენი ასე ხშირი, ცივი გათიშულობის მიუხედავად. ასე აერთიანებს ხოლმე ნაზი, გულშიჩამწვდომი სიმღერა...** ბებიას უყვარდა სიმღერა. მღეროდა მისებურად ოდნავ ყელგადაგდებით, თავდავიწყებით, თვალმინაბული... არც შეიძლებოდა არ ჰყვარებოდა ძალიან, ისევ მაგიდას თვალწინ შუბლგახსნილი თავის მუქ-მწვანე სამოსით, ასე რომ შვენის სანთლისფერ კანს, ნუშისებურ ზურმუხტის თვალებს... გულჩათხრობის მიზეზის წვდომას ლამობს ისევ მზრუნველი არსებით, და საოცარია, სიტყვები: **„თქვენ გენაცვალოთ ბებია“** – ყოველ წამს შეიძლება მოწყდეს მის ბაგეს... მერე ქრება... რჩებიან საგნები – მისი ცხოვრების სხვადასხვა დროის სახსოვარი, მერე ჩემთვის ნასახსოვარი: წითელი ჟოლოს საყურე, სპილოს ძვლის ოდესღაც მშვენიერი თმის სარჭი, გონებადამსხვრეულ, ცისფერზოლიან ლარნაკსაც აღადგენს... ალბათ იტყვით, რომ რომანტიკის სიჭარბეა...

მაგრამ ჩვენი ბებიის მშვენიერება და სულის პოეზია რეალობა გახლდათ! გადმოსცე ეს როგორმე, ისევე როგორც დაიტიო – ძნელია.

წინაპრისეული ნუგეში – შორეთიდან რომ გინათებს და გამხნევებს – საოცარია და უბრალო.

**„იყო არა იყო რა,
იყო ერთი ბებია“...
და ვიპარავ არდავიწყების წამს...**

**თამარ რაფავა.**


ლურჯხალათელთა დასი

◎ დემოგრაფია

# სამეგრელო–ზემო სვანეთის მოსახლეობა



(მეხუთე გვერდიდან) აფხაზეთის კონფლიქტის შემდეგ თანდათანობით იზრდება სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა - აფხაზეთიდან განდევნილი ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი სამეგრელოში დასახლდა საცხოვრებლად.

რეგიონის მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე მეტი ადამიანი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს – რეგიონის მთელი მოსახლეობის 37 პროცენტი. მოსახლეობის რაოდენობით მეორე ადგილზეა სენაკის მუნიციპალიტეტი - 52,5 ათასი, შემდეგ მარტვილის – 45 ათასი.

ქალაქ ზუგდიდში 75 ათასი კაცი ცხოვრობს, ხოლო ფოთში – 48 ათასი. მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა 14,6 ათას კაცს შეადგენს. რეგიონის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. რეგიონში ეროვნული უმცირესობებიდან მხოლოდ რუსები ცხოვრობდნენ შედარებით დიდი რაოდენობით. მაგალითად, 1959 წელს მათი რაოდენობა 26860 კაცს უდრიდა. ამის შემდეგ რუსების რაოდენობა მცირდებოდა და 1989 წელს 18 ათას კაცამდე შემცირდა, ხოლო 2002 წელს რეგიონში უკვე მხოლოდ 4 ათასი რუსი ცხოვრობდა. ამავე პერიოდში (1959-2002 წლებშიძ უკრაინელების რაოდენობა 5 ათასიდან 528 კაცამდე შემცირდა, სომხებისა – 2,5 ათასიდან 476 კაცამდე და ა.შ.

ფაქტობრივად, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი ამჟამად მონოეთნიკური რეგიონია. კერძოდ, 1959 წელს ქართველები შეადგენდნენ რეგიონის მთელი მოსახლეობის 89 პროცენტს, 1989 წელს – 93,6 პროცენტს, ხოლო მოსახლეობის უკანასკნელი, 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით – 98,6 პროცენტს. 2002 წელს მხოლოდ ფოთში იყო ქართველების წილი შედარებით დაბალი – 94,2 პროცენტი, ზუგდიდსა და სენაკის მუნიციპალიტეტებში ეს მაჩვენებელი 99 პროცენტს უდრიდა, ხოლო დანარჩენ მუნიციპალიტეტებში – 99,1-99,5 პროცენტს. აღსანიშნავია, რომ ფოთში 1959 წელს ცხოვრობდა13 ათასი რუსი – რეგიონში მცხოვრები რუსების თითქმის ნახევარი – 48,1 პროცენტი. ფოთში რუსების დიდი რაოდენობით ცხოვრება იმით იყო გამოწვეული, რომ მეორე მსოფლიო ომის წლებში რუსეთიდან საქართველომ ასი ათასობით ევაკუირებული მიიღო. მათი საკმაო ნაწილი ფოთში დაასახლეს. საკმარისია ითქვას, რომ ომის წლებში ფოთის მოსახლეობა სამჯერ გაიზარდა. ომის დამთავრების შემდეგ ევაკუირებული მოსახლეობის ნაწილი ფოთში დარჩა საცხოვრებლად.

უკანასკნელ წლებში რეგიონში, ისევ როგორც მთელ საქართველოში, მნიშვნელოვნად გაუარესდა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებელი. უკანასკნელ ოთხ ათეულ წელიწადში სულ უფრო მცირდებოდა შობადობა, იზრდებოდა მოკვდაობა, მაგრამ მკვეთრად გამოსახული ხასიათი ამ მოვლენამ 1990-იანი წლების შუა ხანებიდან მიიღო. კერძოდ, ათწლეულების მიხედვით, ოფიციალური მონაცემებით 1970-1979 წლებში რეგიონში 73,3 ათასი ბავშვი დაიბადა, 1980-1989 წლებში – 69 ათასი, 1990-1999 წლებში – 54,1 ათასი, ხოლო 2000-2009 წლებში 44,5 ათასი ბავშვი, ანუ 28,8 ათასი ბავშვით ნაკლები 1970-1979 წლებთან შედარებით. ამავე პერიოდში გაიზარდა მოკვდაობა. აღნიშნული მიზეზების გამო მკვეთრად შემცირდა რეგიონის მოსახლეობის ბუნებრივი მატება, რომელიც 1970-1979 წლებში 37,8 ათას კაცს უდრიდა, 1980-1989 წლებში – 30 ათასს, 1990-1999 წლებში – 5,8 ათასს, ხოლო 2000-2009 წლებში – მხოლოდ 1,2 ათასს კაცს. განსაკუთრებით მძიმე იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისათვის 1998-2003 წლები, როდესაც 3776 კაცით მეტი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა. ამ მხრივ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა სოფლის მოსახლეობაში, რომელიც რეგიონის მთელი მოსახლეობის 60 პროცენტს შეადგენს. კერძოდ, 1997-2004 წლებში სოფლად 7282 კაცით მეტი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა. განსაკუთრებით საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ უკანასკნელ წლებში რეგიონში შობადობამ ისევ დაიწყო შემცირება. კერძოდ, 2009 წელს რეგიონში 6187 ბავშვი დაიბადა, 2010 წელს – 5969 ბავშვი, ხოლო 2011 წელს – 5063 ბავშვი, ანუ 2009 წელთან შედარებით1124 ბავშვით ნაკლები.

შესადარისობის თვალსაზრისით არსებულ ვითარებას კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენებს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, რომელიც ასახავს მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე დაბადებულთა რაოდენობას. მაგალითად, 1990-1999 წლებში რეგიონში საშუალოდ ყოველწლიურად მოსახლეობის 1000 კაცზე 12,5 ბავშვი იბადებოდა, ხოლო 2000-2009 წლებში – 9,5 ბავშვი. მაღალი იყო აგრეთვე ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით გარდაცვლილთა რაოდენობაც. საბოლოოდ მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ 1990-1999 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად მოსახლეობის ათას კაცზე 1,4 კაცი შეადგინა, ხოლო 2000-2009 წლებში – 0,2 კაცი. აღნიშნული მაჩვენებლები ადრეც და უკანასკნელ წლებშიც უარესია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში. რეგიონის მუნიციპალიტეტებს შორის შობადობისა და ბუნებრივი მატების მაჩვენებლები შედარებით კარგია მესტიის მუნიციპალიტეტში. მაგალითად, ხუთ წელიწადში, 2005-2009 წლებში, მოსახლეობის ბუნებრივმა კლებამ სენაკში 140 კაცი შეადგინა, ჩხოროწყუში – 56 კაცი, ხოლო მესტიის მუნიციპალიტეტში, რომელიც მოსახლეობის რაოდენობის მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩება სენაკისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებს (შესაბამისად 3,6-ჯერ და 2,1-ჯერძ, მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ 416 კაცი შეადგინა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მოსახლეობა თითქმის მთლიანად – 99,3 პროცენტი მართლმადიდებლობას აღიარებს, ხოლო ქართველი მოსახლეობის 99,2 პროცენტი მართლმადიდებლობის მიმდევარია. ამ მხრივ მუნიციპალიტეტებს შორის არსებითი განსხვავება არ შეინიშნება.

სამეგრელოს მოსახლეობა დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ეკონომიკური პირობების არსებითი გაუარესებისა და კონფლიქტის ზონასთან სიახლოვის გამოც მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები რეგიონში გაცილებით უარესია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში. ამასთან, აფხაზეთიდან განდევნილმა ქართველმა მოსახლეობამ ფსიქიკურადაც დიდი ტრავმა გადაიტანა. ამიტომ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და თაობათა გაფართოებული გამრავლებისათვის.

**მანანა ცერცვაძე,**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი

◎ აღიარების მოლოდინში

# აფხაზეთი – როგორც კავკასიური კოსოვო

**„La Repubblica“ აქვეყნებს სტატიას სათაურით „აფხაზეთი – როგორც კავკასიური კოსოვო“. სტატია, სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრთან ვიაჩესლავ ჩირიკბასთან გამართულ საუბარს ეფუძნება. მასში ჩირიკბა საუბრობს იმის შესახებ, რომ აფხაზეთი ევროკავშირისაგან დახმარებას ელოდება, რომ შესაძლოა, აფხაზეთის აღიარება სან–მარინომ გადაწყვიტოს და რომ იტალია მალე მიხვდება, რომ აფხაზეთის მდგომარეობა კოსოვოს ანალოგიურია.**

„აფხაზეთი ევროკავშირის მხრიდან აღიარებას ელოდება და ამის სანაცვლოდ ინვესტიციებისათვის მომგებიანი პირობების შექმნას პირდება“, – წერს თავის სტატიაში ჩეჩილია ტოზი, რომელსაც „La Repubblica“ აქვეყნებს.



**„აფხაზებს უძველესი ტრადიციები აქვთ, რომლებიც უკვე საუკუნეების განმავლობაში გრძელდება. აფხაზეთის მცხოვრებლები ამტკიცებენ, რომ თურქეთის ტერიტორიაზე 150 ათასიდან 500 ათასამდე მათი თანამემამულე ცხოვრობს. სამშობლოში სულ 122 ათასი აფხაზი ცხოვრობს, მათთან ერთად ამ ნაციონალურ ტერიტორიაზე ასევე ცხოვრობენ 40 ათასი სომეხი, 22 ათასი რუსი, 46 ათასი მეგრელი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართველი, რომლებიც ხელისუფლების მხრიდან მძიმე დისკრიმინაციას უჩივიან. დამოუკიდებელმა აფხაზეთმა აღიარება მხოლოდ რუსეთის, ნიკარაგუას, ვენესუელის, ნაურუს, ტუვალუსა და ვანუატუს მხრიდან მიიღო, თუმცა ძნელია აფხაზები უიმედობაში შეიყვანო“,** – წერს გამოცემა.

**„აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიაჩესლავ ჩირიკბას თქმით, მრავალმა ევროპულმა სახელმწიფომ, შესაძლოა, თავისი აზრი შეიცვალოს: მეჩვენება, რომ სან–მარინო იქნება პირველი სახელმწიფო, რომელიც ასეთ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამს. ამავდროულად მინისტრი ცდილობს კომერციული ურთიერთობები დაამყაროს იტალიასთან და მოუწოდებს ინვესტორებს მოინახულონ აფხაზეთი“,** – წერს სტატიის ავტორი და აღნიშნავს, რომ ჩირიკბა ამტკიცებს, რომ მის ქვეყანასა და იტალიას შორის ძალიან ბევრი საერთოა.

**„შუასაუკუნეებში ჩვენ ურთიერთობა გვქონდა გენუასთან და ვენეციასთან, მანამდე კი რომის იმპერიის შემადგენლობაში შევდიოდით. დღეს აფხაზეთი იდეალური ადგილია ინვესტიციებისათვის. გლობალური კრიზისის პირობებში ჩვენ ვიძლევით საშუალებას დიდი შემოსავლის მიღებისა, იმიტომ რომ, ჩვენ ჩვენი სახელმწიფო გვაქვს შესაქმნელი“,**– აცხადებს ჩირიკბა.

**„ყოველწლიურად ჩვენთან მილიონამდე ტურისტი ჩამოდის. ამას გარდა, ჩვენი მიწა იდეალურად უხდება სოფლის მეურნეობის წარმოებას: ჩვენთან სუბტროპიკული კლიმატია და ჩვენი ყურძენი საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ მილიონამდე ბოთლი კავკასიაში საუკეთესო ღვინისა.**

**ჩვენ საგადასახადო შეღავათებს ვპირდებით ინვესტორებს: 2 მილიონ ევროზე მეტი ინვესტიცია სამი წლის განმავლობაში არ დაიბეგრება“,** – აცხადებს ე.წ. მინისტრი.

სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ იტალიაში ვიზიტისას აფხაზებს კარგი მიღება მოუწყო სენატის საგარეო საქმეთა კომისიის ხელმძღვანელმა ლამბერტო დინიმ, მან განაცხადა, რომ მხარს გვიჭერს“.

**„ჩვენ გვჯერა, რომ იტალია მიხვდება, რომ ჩვენი მდგომარეობა კოსოვოს ანალოგიურია: აფხაზეთი ყოველთვის იყო ქვეყანა, რომელიც უცხო ქვეყნის ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა. ჩვენ გვაქვს უფლება, ვიყოთ თავისუფალი“,** – აცხადებს ჩირიკბა და ჟურნალისტთან საუბარში ყურადღებას ნეიტრალურ პასპორტებზე ამახვილებს.

**„ჩვენ არ გვჭირდება „ნეიტრალური პასპორტები“, რომლებსაც თბილისი გვთავაზობს. ეს იქნება ქართული დოკუმენტი, იგი თბილისს გამოადგება იმაში, რომ ჩვენი გადაადგილება გააკონტროლოს. ჩვენ ჩვენი პასპორტები გვინდა, ჩვენ გვაქვს მათი ქონის უფლება, ისევე როგორც კოსოვოელებს. კოსოვოც ასევე „ნაწილობრივ აღიარებული სახელმწიფოა“. ევროკავშირის ხუთი წევრი არ აღიარებს კოსოვოს. ისინი კი თავიანთი დოკუმენტებით დადიან და არა სერბული დოკუმენტებით“,** – აცხადებს ჩირიკბა და მიიჩნევს, რომ **„ევროკავშირი, შესაძლოა, დაეხმაროს მის ქვეყანას ისევე, როგორ ის კოსოვოს ეხმარება“,** – ნათქვამია სტატიის ბოლოს.

**la Repubblica**

შემოქმედი

# მარინა მდივნის ვარსკვლავი



**ჭეშმარიტად „ოქროსი“ იყო ქართული მუსიკალური ხელოვნებისათვის გასული, XX საუკუნე, რომელმაც ჩვენი კულტურა გაამდიდრა შესანიშნავი მხატვრული მიღწევებით როგორც საკომპოზიტორო შემოქმედების, ისე ვოკალური და ინსტრუმენტული შესრულების სფეროებში.**

თანამედროვეებს ჯერ კიდევ გვმართებს დიდი მუშაობა არც თუ ძალიან შორეული წარსულის ქართველი ვირტუოზების მუსიკალური მემკვიდრეობის ისტორიული გააზრებისა და შეფასებისათვის.

მუსიკოსების პირველ რიგებშია გამოჩენილი პიანისტი და პედაგოგი, საქართველოს სახალხო არტისტი მარინა მდივანი, რომელმაც ჯერ კიდევ 60-იან წლებში მოიპოვა ფართო საერთაშორისო აღიარება. იგი პრესტიჟული საშემსრულებლო კონკურსების ლაურეატი, ხოლო ამჟამად ქ.მონრეალის (კანადა) კონსერვატორიის პროფესორია.

მარინა მდივანი დაიბადა ცნობილი ქართველი ჭადრაკის ოსტატის ვიქტორ გოგლიძის ოჯახში. 1955 წელს დაამთავრა თბილისის ცენტრალური სამუსიკო სკოლა რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის ევგენია ჩერნიავსკაიას ხელმძღვანელობით. ამ შესანიშნავი პედაგოგის კლასში თავის დროზე მრავალი ცნობილი ქართველი მუსიკოსი აღიზარდა.

კარგად მახსოვს მარინას გამოსვლა 1955 წლის გაზაფხულზე ჩერნიავსკაიას კლასის კონცერტზე, რომელმაც დააგვირგვინა მისი მოწაფეობის პერიოდი. მარინამ ნამდვილი ვირტუოზული გაქანებითა და ბრწყინვალებით შეასრულა გუნო-ლისტის „ვალსი“. უკვე მაშინ შეიძლებოდა გვეწინასწარმეტყველა მისთვის ნათელი არტისტული მომავალი, რაც ახალგაზრდა პიანისტმა მალე საქმით დაადასტურა. 1957 წელს მარინამ, რომელიც ამ დროს მოსკოვის კონსერვატორიის მე-3 კურსის სტუდენტი იყო, ოქროს მედალი მოიპოვა ახალგაზრდობის საკავშირო ფესტივალზე, ხოლო ერთი წლის შემდეგ სტუდენტთა მოსკოვის მსოფლიო ფესტივალზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

> **კარგად მახსოვს მარინას გამოსვლა 1955 წლის გაზაფხულზე ჩერნიავსკაიას კლასის კონცერტზე, რომელმაც დააგვირგვინა მისი მოწაფეობის პერიოდი. მარინამ ნამდვილი ვირტუოზული გაქანებითა და ბრწყინვალებით შეასრულა გუნოლისტის „ვალსი“. უკვე მაშინ შეიძლებოდა გვეწინასწარმეტყველა მისთვის ნათელი არტისტული მომავალი, რაც ახალგაზრდა პიანისტმა მალე საქმით დაადასტურა. 1957 წელს მარინამ, რომელიც ამ დროს მოსკოვის კონსერვატორიის მე-3 კურსის სტუდენტი იყო, ოქროს მედალი მოიპოვა ახალგაზრდობის საკავშირო ფესტივალზე, ხოლო ერთი წლის შემდეგ სტუდენტთა მოსკოვის მსოფლიო ფესტივალზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა.**

მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში მარინა მეცადინეობდა ჯერ პროფესორ იაკობ მილშტეინთან, შემდგომ კი სახელგანთქმულ პიანისტთან ემილ გილელსთან. მასთანვე გაიარა ასპირანტურის კურსიც. არტისტული ფორმირების ამ პერიოდში მარინამ უდავოდ განიცადა თავისი განთქმული მასწავლებლის საშემსრულებლო ხელოვნების გავლენა, მხედველობაში მაქვს დაკვრის მასშტაბურობა, კოლოსალური დინამიკა, ვირტუოზული ელვარება.

საერთაშორისო აღიარება მარინა მდივანმა მოიპოვა 1961 წელს პარიზში მარგარიტა ლონგის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე, სადაც მას პირველი პრემია მიენიჭა.

პარიზში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ მარინა მშობლიურ ქალაქს ეწვია და კონცერტი გამართა. ამ კონცერტმა თბილისელ მუსიკის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია, ახალგაზრდა პიანისტმა ჩაიკოვსკისა და პროკოფიევის კონცერტები შეასრულა. თბილისელთათვის ეს იყო ნაცნობი პიანისტის „ხელმეორე აღმოჩენა“, იმდენად ძლიერი და ნათელი იყო მისი დაკვრით მიღებული შთაბეჭდილება. პირველივე ტაქტებიდან პიანისტმა დაიპყრო მსმენელები შესრულების ბრწყინვალებითა და მასშტაბურობით, ტექნიკური აპარატის სრულყოფილებით.

ჩაიკოვსკის ცნობილი საფორტეპიანო კონცერტის შესრულება სამართლიანად არის მიჩნეული მარინას საშემსრულებლო ხელოვნების ერთ-ერთ მწვერვალად. აი, რას წერდა ფრანგი მუსიკალური კრიტიკოსი მისი პარიზული ტრიუმფის შემდეგ: „ემილ გილელსის მოწაფემ მემკვიდრეობით მიიღო მისგან გამორჩეული ოსტატობა, მძლავრი ნებისყოფა და საოცარი სისადავე, მუსიკისადმი ფაქიზი მიდგომა და ჩინებული ტექნიკა. ვისაც მოუსმენია, როგორ უკრავს იგი ჩაიკოვსკის კონცერტს, არასოდეს დაივიწყებს მას და არ დაეჭვდება ახალგაზრდა პიანისტის მომავალში“.

წარმატებით დაგვირგვინდა მისი გამოსვლა 1962 წელს მოსკოვში ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსზე. წლების მანძილზე პიანისტი კონცერტებს მართავდა საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის მრავალ ქვეყანაში. განსაკუთრებული წარმატება ხვდა მის გასტროლებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც კრიტიკოსებმა მისი დაკვრა მსოფლიო პიანიზმის კორიფეების ხელოვნებას შეადარეს. რეპერტუარის ბირთვს შეადგენდა ჰაიდნის, მოცარტის, ბეთჰოვენის, შოპენის, შუმანის, ლისტის, ბრამსის, ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, სკრიაბინის, სტრავინსკის ნაწარმოებები. მაგრამ არის ერთი კომპოზიტორი, რომლის ნაწარმოებებს მარინა უკვე სტუდენტობის პერიოდში განსაკუთრებული ხალისითა და წარმატებით ასრულებდა. ეს გახლავთ რუსული მუსიკის კლასიკოსი, XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორი სერგეი პროკოფიევი. იგი უკრავს პროკოფიევის ფაქტობრივად ყველა საფორტეპიანო ნაწარმოებს, მასვე ეკუთვნის უნიკალური საშემსრულებლო მიღწევაც: პროკოფიევის ხუთივე საფორტეპიანო კონცერტის შესრულება ერთ საღამოს!

ეს „გინესის წიგნში“ შესატანი საღამო გაიმართა მოსკოვში 1986 წლის 24 იანვარს და არა მგონია, რომ ოდესმე და სადმე განმეორდეს! საოცრება თბილისშიც უნდა შემდგარიყო (აფიშებიც კი იყო გაკრული), მაგრამ დირიჟორის მოულოდნელმა ავადმყოფობამ ხელი შეუშალა მის განხორციელებას.

მომდევნო წლების მანძილზე მარინას არ გაუწყვეტია კავშირი საქართველოსთან, მართავდა კონცერტებს, ასრულებდა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებს, კერძოდ, იგი იყო ოთარ თაქთაქიშვილის მე-4 საფორტეპიანო კონცერტის პირველი შემსრულებელი, ერთხანს უკრავდა „ქართველ ვარსკვლავთა ტრიოში“ ლიანა ისაკაძესა და თამარ გაბარაშვილთან ერთად.

მ.მდივნის შემოქმედებით ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი იყო 1991 წელი, როდესაც იგი კანადაში გადასახლდა და მუშაობა დაიწყო მონრეალში, მაკ-გილის უნივერსიტეტში (კონსერვატორიაში), სადაც იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს.

ქალბატონი მარინა წელიწადში ორჯერ ჩამოდის თბილისში, საჩვენებელ გაკვეთილებს ატარებს კონსერვატორიაში, ერთხელ კი თავმჯდომარეობდა პიანისტების საქართველოს საერთაშორისო კონკურსზე.

გამოჩენილი პიანისტისა და პედაგოგის გეგმებშია თბილისის კონსერვატორიასთან შემდგომი საქმიანი და მუსიკალური კონტაქტების გაფართოება.

**გულბათ ტორაძე**

გამოფენა



# ჯანმრთელები და ლამაზები რომ ვიყოთ

**თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობის დაცვისა და დაავადებათა პრევენციის საქმეში თანამედროვე სამედიცინო ტექნიკურ აღჭურვილობას, სხვადასხვა სპეციალიზებულ სამკურნალო თუ დიაგნოსტიკურ აპარატურას, კარგადაა ცნობილი.**

ამდენად, მეტად აქტუალურია საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში გუშინ გახსნილი სამედიცინო ტექნოლოგიების, ლაბორატორიული აღჭურვილობისა და სტომატოლოგიის მე-12 საერთაშორისო სპეციალიზებული გამოფენა. საგულისხმოა, რომ საგამოფენო ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოფენის ფარგლებში, რომელიც თბილისის მერიისა და შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით იმართება, ერთგვარად „ჩართულია“ „კაუკაზუს ჰილჩერი 2012“ და კოსმეტიკისა და ესთეტიკური მედიცინის მე-7 საერთაშორისო გამოფენა „თბილისი ბიუთი ენდ ესთეტიკ მედიცინი“.

61 საგამოფენო სტენდზე წარმოდგენილია 16 ქვეყნისა და საქართველოს დაახლოებით ასი კომპანიის და საწარმოს პროდუქცია. მათ შორისაა საავადმყოფოებისა და ლაბორატორიების აღჭურვილობა, დიაგნოსტიკური, სტომატოლოგიური, ოფთალმოლოგიური, ესთეტიკური მედიცინის დანადგარები, დეკორატიული და სამკურნალო კოსმეტიკა, თმისა და ფრჩხილების მოვლის საშუალებები, პარფიუმერია, აქსესუარები და სხვ.

გერმანული, დანიური, ამერიკული, იტალიური, ჩინური და სხვ. ფირმების პროდუქციის გაცნობასთან ერთად, დარგების სპეციალისტებსა და გამოფენის რიგით დამთვალიერებლებს ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული აპარატურის თუ მეთოდის საკუთარ თავზე მოსინჯვა, კერძოდ, ფრჩხილების მოვლა, მასაჟი, ეპილაცია, წნევის გაზომვა და ა. შ. შესაძლებლობა აქვთ.

გამოფენამ, რომელმაც მრავალი სპეციალისტის ყურადღება მიიპყრო, კვირამდე გასტანს.

**ნინო ალექსანდრია**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**



ინფორმაცია

## კავკასიაში მიწისძვრების რისკი მატულობს

**ამის შესახებ აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა აკიფ ალიზადემ განაცხადა.**

**ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ, ამერიკელ მეცნიერებთან ერთად ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მტკვრის დაბლობზე და აბშერონის ნახევარკუნძულის სამხრეთით მიწის ქერქის დეფორმაცია შეიმჩნევა, აღნიშნა ალიზადემ, კავკასიაში გეოლოდინამიკური პროცესებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე.**



**მისივე თქმით, ბაქოსთან ახლოს შეიმჩნევა მიწის ქერქის დეფორმაციის მაღალი ენერგია, რამაც შესაძლოა უახლოეს წლებში გამოიწვიოს მიწისძვრები. იმავდროულად, მან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ძლიერი მიწისძვრის შესაძლებლობა გამორიცხა.**

ინტერპრესი

◉ „ევრო – 2012“

## მესამე და სამართალი



**არც ერთი 0:0, ერთადერთი, ისიც გამოუყენებელი პენალტი (კარაგუნისი) – ასეთია მოკლედ „ევრო – 2012“-ის ჯერაც თეთრი ლაქები.**

რაც შეეხება პლეი-ოფებს, მეოთხედფინალური ეტაპი პორტუგალია – ჩეხეთის შეხვედრით გაიხსნა. ამ წყვილის ფავორიტმა მართლაც იძალა – 1:0, თუმცა საამისოდ მთლიანად გუნდსა და კერძოდ მის ლიდერს კრიშტიანუ რონალდუს საკმაო ძალისხმევა დასჭირდათ.

აღსანიშნავია, რომ შესვენებამდე ტრავმირებული როსიცკის გარეშე მოთამაშე მიხალ ბილეკის შეგირდები ტოლს არაფერში უდებდნენ მრისხანე მეტოქეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბურთის ფლობის პროცენტული მაჩვენებლითა და კუთხურების რაოდენობითაც (5:5ძ კი საპატიო თანაფარდობას მიაღწიეს.

განგაშის ზარმა პირველად ინგლისელი მსაჯის ჰოვარდ უების (მან ჩინებულად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობასძ მიერ საწყისი 45 წუთისთვის წამატებულ დროში ჩამოჰკრა, როცა მადრიდის „რეალის“ სუპერვარსკვლავმა ელეგანტურად დაამუშავა ბურთი და ახლო კუთხეში დაურტყა ჩეხს, მაგრამ ამ ეპიზოდში საქმეში ძელი ჩაერია.

ანალოგიურად განვითარდა მოვლენები მე-60 წუთზეც, ოღონდ ამჯერად ძელმა მეკარის ფუნქცია რონალდუს მიერ შესრულებული შორეული საჯარიმოს შემდეგ შეითავსა. აი, 79-ე წუთზე კი, მესამე ცდიდან, კვანძი გაიხსნა: ნანი – მოუტინიუს ფლანგური კომბინაცია კრიშტიანუმ აუღებელი თავურით დააგვირგვინა – 1:0.

ადვილი შესაძლებელია 27 ივნისს პირენეული ნახევარფინალით დავტკბეთ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ დღეს ესპანელები მძიმე ბრძოლაში ფრანგებს დასცემენ.

**გიორგი შოთაძე**

◉ პროფესიული კრივი

## „ქამრის“ ბედი ორმა ქულამ გადაწყვიტა

**ვერის ბაღში გიორგი კანდელაკის სახელობის დარბაზი სისტემატურად მასპინძლობს პროფესიულ კრივში სარეიტინგო ორთაბრძოლებს. ამჯერად აქ „საქართველოს ქამარი“ გათამაშდა 66 კილოში. ერთმანეთს ფოთელი გიორგი უნგიაძე და ქუთაისელი ამბროსი სუთიძე დაუპირისპირდნენ.** უნგიაძე უფრო გამოცდილია. პროფესიულ რინგზე 31 შეხვედრა აქვს ჩატარებული, საიდანაც 18 მოიგო. სუთიძემ სულ 9-ჯერ სცადა ბედი. მეათე ორთაბრძოლა მისთვის უიღბლო აღმოჩნდა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მეტოქეს ტოლი არ დაუდო. პირველ ექვს რაუნდში ფოთელი სპორტსმენი თუ ყოჩაღობდა, ბოლო ოთხი რაუნდი ქუთაისელის უპირატესობით წარიმართა. საბოლოოდ უნგიაძემ ორი ქულით გაიმარჯვა და „საქართველოს ქამარი“ დაისაკუთრა.



**ლაშა დიდია**

◉ მშვილდოსნობა

## ლონდონის გზა იაპონელებმა ჩაგვიკეტეს

**იუტას შტატის (აშშ) ქალაქ ოგდენში მშვილდოსანთა მსოფლიოს თასთან ერთად 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის საგზურებიც გათამაშდა. ჩვენი ბიჭები, სამწუხაროდ, პლეი-ოფში ვერ მოხვდნენ. ქალთა გუნდმა (ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე, ასმათ დიასამიძე) პირველ წრეში გერმანელებს სძლია 216:204. შემდეგ ფრანგებს დაუპირისპირდნენ. ხუთი სეტის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო 210:210. დამატებით გადასროლაში ქართველმა ჩუბინებმა მეტოქეს 9:8 მოუგეს და წლეულს ევროპის ჩემპიონატზე მარცხისთვის რევანში აიღეს.**

ნახევარფინალში კვლავ მექსიკა აღმოჩნდა ჩვენს წინააღმდეგ – მსოფლიოს თასზე პირველივე პაექრობაში სწორედ ოკეანისგაღმელებმა გვაჯობეს. ამ შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან გამარჯვებული ლონდონის ოლიმპიადის საგზურს ინაღდებდა. სამწუხაროდ, ჩვენებურებმა ვერც ამჯერად იყოჩაღეს და 5 ქულით (207:212ძ დანებდნენ მეტოქეს. მარცხის მიუხედავად, ჩვენებს მაინც რჩებოდათ საგზურის მოპოვების შანსი, მაგრამ მე-3 ადგილისთვის ბრძოლაში ამომავალი მზის ქვეყნის შვილებმა დაგვჯაბნეს 212:200. ამდენად, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში გამგზავრების უფლება აშშ-ს, მექსიკისა და იაპონიის გუნდებმა მოიპოვეს.

**ლექსო ცინცაძე**



◉ თბილისის „დინამო“

## უჰრინი საქმეს შეუდგა



**გუშინ გამთენიისას საქართველოს დედაქალაქში თბილისის „დინამოს“ ახალი ჩეხი მთავარი მწვრთნელი დუშან უჰრინი უმცროსი ჩამოფრინდა, რომელსაც რამდენიმე დღეში ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის თავკაცის მრჩევლის ამპლუაში მამა – დუშან უჰრინი უფროსი შეუერთდება. შეგახსენებთ, რომ „თეთრ-ლურჯებმა“ 2009 წელს სწორედ ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით მოიპოვეს ბოლო საშინაო წოდება.**

რაც შეეხება მის ვაჟს, უკვე გაუწყეთ, რომ ახალგაზრდა სპეციალისტმა დიღმელთა უფროსობის ყურადღება სამშობლოსა და რუმინეთში ნაყოფიერი მოღვაწეობით მიიპყრო, საფუძვლიანი მოლაპარაკებები კი ორმხრივად სასარგებლო კონტრაქტის გაფორმებით დაგვირგვინდა.




დავძენთ, რომ დინამოელები გუშინ დაწყებულ სამედიცინო შემოწმებას დღეს დაასრულებენ, ხოლო ხვალ დამდეგი სეზონისთვის მზადებას შეუდგებიან. ისინი პირველ სპარინგს 26 ივნისს დიღმის ბაზაზე „ვიტ ჯორჯიასთან“ გამართავენ.

**საკუთარი ინფორმაცია**

◉ კალათბურთი

## „მეფეა“, აბა, რა?!

**ნბა-ს ჩემპიონის ბეჭდის მოსაპოვებლად ლებრონ ჯეიმსი „კლივლენდიდან“ ორი სეზონის წინათ „მაიამიში“ გადავიდა და 27 წლისამ მეორე ცდით სანუკვარი ოცნება აისრულა.**

შეგახსენებთ, რომ შარშან „ჰიტი“ ფინალში გავიდა, სადაც „დალასთან“ დამარცხდა, წლეულს კი აღმოსავლეთ კონფერენციის რჩეულმა კლუბმა ბეჭებზე გააკრა დასავლეთელთა ყოჩი „ოკლაჰომა“ – 4:1. სხვათა შორის, ლეგენდარულმა მაიკლ ჯორდანმა პროფესიული კალათბურთის მწვერვალი პირველად 28 წლისამ დაიპყრო, ხოლო სულ 6-ჯერ(!ძ ავიდა ტახტზე. ასე რომ, თანამედროვე „მეფეს“, ასაკის გათვალისწინებით, კიდევ ბევრჯერ შეუძლია იპირველოს.



ფლორიდელთა მეორე (პირველად 2006 წელსძ ტრიუმფზე საუბრისას ხაზი უნდა გავუსვათ ფინალური სუპერსერიის მეოთხე მატჩის მიწურულს მომხდარ ფაქტს, როცა ლებრონმა სწრაფი გარღვევისას ბარძაყის კუნთის ტრავმა მიიღო და ბევრი გულშემატკივარი შოკში ჩააგდო: ნუთუ მისთვის სეზონი ნაადრევად დასრულდა?

საბედნიეროდ, ჯეიმსი სატიტულო შეხვედრაშიც გამოუძლვა პარტნიორებს სარბიელზე. მერე როგორ! მისი ბარაქიანი პირადი მონაგარი – 26 ქულა, 11 მოხსნა და 13 შედეგიანი გადაცემა – ნბა-ს ისტორიის დასკვნით რაუნდში შესრულებული მერვე სამმაგი დუბლია.

და ბოლოს: გაგაცნობთ „სამეფო ამალის“ წარჩინებულ წევრთა ვინაობასაც: მთავარი მწვრთნელი ერიკ სპოელსტრა, პრეზიდენტი პატ რაილი, აგრეთვე სეზონის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ დასახელებული ლებრონ ჯეიმსის ღირსეული თანამებრძოლები დუეინ უეიდი, კრის ბოში, მარიო ჩელმერსი, შონ ბეტიე და მაიკ მილერი, რომელმაც უკანასკნელ შეხვედრაში 7(!ძ სამქულიანი ჩააგდო 121:106.

**ვიტალი ჯაფარიძე**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 55 წლისა გულის შეტევით გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი და შესანიშნავი პიროვნება

**რამაზ ალექსანდრეს ძე**

**შენგელია**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გამოსვენება ხვალ, 24 ივნისს 15სთ. თბილისის სპორტის სასახლიდან. დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.



## ჩვენი კარაბადინი

### კალციუმით – გულზე

**ამბობენ, რომ ვიტამინები კალციუმით ზრდის გულის შეტევის რისკს.**

გერმანელი სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ დანამატები კალციუმით, რომლებსაც ხანდაზმული ადამიანები ღებულობენ ძვლების გასამაგრებლად, ზრდის გულის შეტევის რისკს. ასეთი მონაცემები არის. მაგრამ ეს საკითხი შემდგომ შესწავლას მოითხოვს, გვიხსნის პროფილაქტიკისა და გადაუდებელი კარდიოლოგიის სპეციალისტი თამარ ურუშაძე. – ხანდაზმული ადამიანები უნდა ცდილობდნენ, მიიღონ მეტი პროდუქტი, რომლებიც მდიდარია კალციუმით, დანამატები კი – მხოლოდ ექიმის დანიშნულებით.

### შეზღუდეს დიდი მოცულობის გაზიანი სასმელების გაყიდვა



**მართალია, რომ ნიუ-იორკის ხელისუფლებამ შეზღუდა დიდი მოცულობის გაზიანი სასმელების გაყიდვა?**

დიახ, მართალია. შეზღუდეს აგრეთვე იმ სხვა სასმელების დიდი ჭურჭლებით გაყიდვა, რომლებიც შეიცავენ შაქარს. მოცულობას აქ შეზღუდავენ 16 უნციით (ეს 0,473 ლიტრიაძ. ეს წესი გავრცელდა იმ სასმელებზე, რომლებსაც ყიდიან რესტორნებში, კინოთეატრებში, ქუჩებში. ასე აპირებს ქალაქის ხელისუფლება სიმსუქნის წინააღმდეგ ბრძოლას.

### საიდან ახალი მხეცები?

**ამბობენ, რომ ახლად აღმოჩენილი ცხოველების ტოპ-ათეულში შევიდნენ ისეთი მაიმუნი, რომელიც ცხვირს აცემინებს და პარაზიტული კრაზანა. ნუთუ ერთ წელიწადში მთელი ათეული ახალი ცხოველი აღმოაჩინეს? გვეგონა, რომ ვიცნობდით ტყეების, მინდვრებისა და ზღვების ყველა ბინადარს...**

საკმარისია ითქვას, რომ ამ ტოპ-ათეულის შესაქმნელად არიზონის უნივერსიტეტის სახეობათა კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტმა განიხილა ორი ათასი ახალ მცენარეთა და ცხოველთა სახეობა. და ასეთი ათეული დგება ყოველწლიურად. სინამდვილეში ჩვენ ჩვენი პატარა „მოძმეების“ შესახებ ძალიან ცოტა რამ თუ ვიცით. ამიტომ ახალ სახეობებს ნახულობენ რეგულარულად. წელს ცოცხალ არსებათა ყველაზე, ყველაზე არაჩვეულებრივი ახალი სახეობის რეიტინგი გახსნა გიგანტურმა მრავალფეხამ.

### როგორ ვავარჯიშოთ მეხსიერება?

**როგორია მეხსიერების ვარჯიშის ყველაზე ეფექტური ხერხი?**

**ამ შეკითხვას უპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მარინა მინდორაშვილი:**



დიდი ხანია დადასტურებულია, რომ სხვადასხვა ადამიანის აღქმა და დამახსოვრება ემყარება სხვადასხვა მექანიზმებს – ვიღაცა ადვილად აღიქვამს ინფორმაციას მოსმენით, ვიღაცა უკეთ იხსომებს მხედველობით სახეს, ამიტომ მეხსიერების ვარჯიშის უნივერსალური ხერხი არ არსებობს. არის ყველასთვის საერთო ორი ნიუანსი, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ დავიმახსოვროთ ინფორმაცია ისე, რომ „ნაჯახითაც ვერ ამოგვიშალონ“ მეხსიერებიდან. პირველი – ესაა მოტივაცია, განწყობა დამახსოვრებაზე. როგორც პრაქტიკა და ექსპერიმენტული გამოკვლევა გვიჩვენებს, თავისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ადამიანები იგებენ უმალვე და იხსომებენ დიდი ხნით. მეორეა – ინფორმაციის რეგულარული გამოყენება ან გამეორება. ის უნდა დავიწყოთ სულ ცოტა ერთი საათის შემდეგ მისი მიღებიდან. გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ერთი საათის შემდეგ ადამიანის მეხსიერებაში რჩება დამახსოვრებულის 50 პროცენტზე ნაკლები, ერთი დღის შემდეგ კი – 30-35 პროცენტი.

### რამდენ ხანს შევინახოთ კრემი?

**ამ ცოტა ხნის წინათ ბაზრობაზე იაფად ვიყიდე კრემი. აღმოჩნდა, რომ მას გაუდიოდა ვარგისიანობის ვადა. როგორ მოვიქცე?**

**გვიპასუხებს კოსმეტოლოგი ვ.ძაგნიძე:**

კრემები და ნიღბები, რომლებიც სახისთვისაა გათვალისწინებული, მაშინაც კი თუ, შეფუთვაში არაა მითითებული, უნდა შევინახოთ არაუმეტეს ერთი წლისა. გამოყენების დაწყებიდან ვარგისიანობის ვადა მკვეთრად მცირდება, განსაკუთრებით თუ კრემს ვინახავთ სააბაზანოში ან მაცივარში – გაზრდილი ტენიანობისა და ტემპერატურის ხშირი ცვალებადობის გამო.



კრემი გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ, უმჯობესია, აღარ ვიხმაროთ – შესაძლებელია ალერგიული რეაქციები (ქავილი, გამონაყარი, დერმატიტიძ. კრემის გაფუჭების ძირითადი ნიშნებია – ფერის, სუნის ან კონსისტენციის (ნივთიერების სიმკვრივის ხარისხისძ შეცვლა.

**პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია 2012 წლის 25 ივნისიდან აცხადებს კონკურსს შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:**

**ბაზისური და ზოგადი დისციპლინების დეპარტამენტი**

სრული პროფესორი – 5 საშტატო ერთეული (ადამიანის ანატომია, სამედიცინო ბიოლოგია, ფიზიოლოგია, მიკრობიოლოგია, პათოლოგიური ფიზიოლოგიაძ;

ასოცირებული პროფესორი – 3 საშტატო ერთეული (პათოლოგიური ანატომია, ფარმაკოლოგია, პრევენციული მედიცინაძ;

ასისტენტ პროფესორი – 1 საშტატო ერთეული (ბიოქიმიაძ

**კლინიკური დისციპლინების დეპარტამენტი**

სრული პროფესორი – 9 საშტატო ერთეული (შინაგანი სნეულებები – 2 ერთ., ქირურგია – 2 ერთ., მეანობა-გინეკოლოგია, ფსიქიატრია, ოფთალმოლოგია, პედიატრია, დერმატოვენეროლოგიაძ;

ასოცირებული პროფესორი – 8 საშტატო ერთეული (შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკა, ქირურგია – 2 ერთ., შინაგანი სნეულებები, მეანობა-გინეკოლოგია – 2 ერთ., ინფექციური სნეულებები, დერმატოვენეროლოგია!ძ;

ასისტენტ პროფესორი – 3 საშტატო ერთეული (შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკა, მეანობა-გინეკოლოგია 2 ერთ.ძ;

**სტომატოლოგიის დეპარტამენტი**

სრული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული (ორთოპედიული სტომატოლოგია, ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიაძ;

ასოცირებული პროფესორი – 3 საშტატო ერთეული (თერაპიული სტომატოლოგია, ორთოპედიული სტომატოლოგია, ორთოდონტიაძ;

ასისტენტ პროფესორი – 1 საშტატო ერთეული (ქირურგიული სტომატოლოგიაძ

**კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:**

1. განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე დადგენილი ფორმით (დანართი 1ძ;
2. ავტობიოგრაფიული მონაცემები – CV (ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმითძ;
3. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის დედანი და ასლი;
4. სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი;
5. დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა (დოქტორანტის შემთხვევაშიძ;
6. საექიმო სერტიფიკატის დედანი და ასლი;
7. ბოლო ათი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების სია;
8. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის დედანი და ასლი;
9. 2 ფოტოსურათი ზომით 3X4 სმ.

**საბუთების მიღება იწარმოებს 2012 წლის 25 ივლისიდან 11 აგვისტომდე 10-დან 17 სთ-მდე პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიაში შემდეგ მისამართზე: თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი, 51/2, III სართული, ოთახი – 305. ტელ.: 2912484; ელ. ფოსტა tmac@caucasus.net ვებ გვერდი – www.tma.edu.ge**

**კონკურსის შედეგები გამოცხადდება 21 სექტემბერს.**

## ფენომენი

# წარმოსახვის ძალა

**კარგად განვითარებულ წარმოსახვის უნარს სასწაულების მოხდენა რომ შეუძლია, კაცობრიობამ დიდი ხანია, იცის. მაგალითად, ფაქტობრივად ყველა საბრძოლო ხელოვნების ჭეშმარიტი ოსტატი ამბობს, რომ ორთაბრძოლის დაწყებამდე მედიტირებს. ახლახან კი აღმოჩნდა, ეს მეთოდი სარგებლის მომტანია ასევე... გოლფის მოთამაშეებისთვისაც, ოღონდ მათ არა დამარცხებული მოწინააღმდეგე, არამედ დადგენილზე უფრო დიდი ფოსო უნდა წარმოიდგინონ. ყოველ შემთხვევაში ამას აცხადებს ინდიანას შტატის პერდიუს უნივერსიტეტის სპორტული ფსიქოლოგიის დოქტორი ჯესიკა ვიტი.**




– გამოკვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ მოთამაშეები ბურთს გაცილებით უფრო უკეთ ათავსებდნენ ფოსოში, როცა გონებაში მას უფრო დიდად წარმოისახავდნენ, – ამბობს დოქტორი ვიტი.

ვიდრე მოედანზე გავიდოდნენ, მკვლევარებმა გოლფის მოთამაშეებს ქაღალდზე ნატურალური ზომის ფოსოს დახატვას სთხოვდნენ და აღმოჩნდა, რომ ისინი, ვინც უფრო პატარა ზომის ღრმულს ხატავდნენ, რეალურ ნახვრეტში გაცილებით იშვიათად აგდებდნენ ბურთს. ისინი კი, ვინც ზომებს ზრდიდნენ, გაცილებით უფრო მეტი წარმატებით თამაშობდნენ.

– ბურთის მიზანში უკეთ მოსახვედრად საკმარისია წარმოიდგინოთ, რომ ფოსო რეალურზე სულ რაღაც 10 პროცენტით უფრო ფართოა, – აცხადებს მკვლევარი.

ამის შემდეგ მოხალისეები მოედანზე ბურთის დიამეტრით განსხვავებულ ფოსოში ჩაგდებას ცდილობდნენ. თანაც უფრო პატარა დიამეტრის მქონე ფოსოს პროექტორის საშუალებით უფრო დიდი ზომის ფოსოს გამოსახულებას ადებდნენ. დიამეტრით უფრო დიდ ფოსოს კი უფრო პატარით „ნიღბავდნენ“. ოპტიკურმა ილუზიებმა გასაოცარი შედეგი გამოიღეს: რაც უფრო დიდი ზომის ნახვრეტი „ეხატა“ ფოსოს, მით უფრო ხშირად ათავსებდნენ მასში ბურთს მოთამაშეები!

– მაგრამ საიმისოდ, რომ აზრის ძალით ისწავლოთ ფოსოს დიამეტრის გაზრდა, საკუთარ ძალებში დიდად დარწმუნებული უნდა იყოთ და გამარჯვების გემოც უნდა იცოდეთ, – დარწმუნებულია ჯესიკა ვიტი.

მკვლევარის დასკვნა ასევე დადასტურდა ფეხბურთელებსა და კალათბურთელებზე განხორციელებული დაკვირვებების შედეგად. აღმოჩნდა, რომ საბრძოლო სულისკვეთებითა და ამბიციებით განმსჭვალულ მოთამაშეებს ფეხბურთის კარისა და კალათბურთის რგოლის ზომების გაზრდის უნარი შესწევთ.

– ამავე დროს, როცა სპორტსმენი გამუდმებით მიზანს აცილებს, იგი საკუთარი თავის რწმენას კარგავს, რის შემდეგ სივრცეს უკვე სხვაგვარად აღიქვამს: მას მიზნის საზღვრები უპატარავდება, რის შედეგად ზუსტად დარტყმა ან სროლა გაცილებით უჭირს, – ასე ხსნის წარუმატებლობის მიზეზს დოქტორი ვიტი. – რაც უფრო მეტი წარუმატებელი ცდა ექნება სპორტსმენს, მით უფრო შორს და უფრო პატარა ზომისად დაიგულებს სამიზნეს. ამდენად, ბუნებრივია, რომ სივრცობრივი აღქმის ასეთი დამახინჯების პირობებში შემდეგი შეტევები, სავარაუდოდ, კვლავაც წარუმატებელი იქნება.

**ირმა ირემაშვილი**

## ინფორმაცია

### ესპანეთში დაკავების სერია გრძელდება

**– ინფორმაციას ამის შესახებ ტელეკომპანია „იმედი“ ავრცელებს. სპეცოპერაცია ერთდროულად ოთხ ქალაქში – სარაგოსაში, ბარსელონაში, ბურგოსსა და ბილბაოში ჩატარდა.**

**დაკავებულებს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობა ედებათ ბრალად. კრიმინალური დაჯგუფება ესპანეთის 14 ქალაქში მოქმედებდა. ისინი, ძირითადად, ბინების ქურდობით იყვნენ დაკავებული.**

**გამოძიების ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეებმა ერთ-ერთი ბინის ძარცვისას ბინის მეპატრონის მიმართ ძალა გამოიყენეს და აწამეს.**

**დაკავებულთა ბინებიდან სამართალდამცავებმა მოპარული ნივთები და სანადირო თოფები ამოიღეს.**

ინტერპრესნიუსი

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქართული ფიზიოლოგიური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელი, აკადემიკოსი**

**თენგიზ ონიანი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“ თანაუგრძნობს ხობის საერთაშორისო ფესტივალის აქტიურ მხარდამჭერსა და მონაწილეს, ხობის საპატიო მოქალაქეს, თემურ ბოჯგუას მამის, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის, ღირსების ორდენის კავალერის**

**პანტელეიმონ ბოჯგუას**

**გარდაცვალების გამო.**

**დავით მარდალეიშვილი ღრმა სამძიმარს უცხადებს მედეა (დოდო) ქავთარაძეს ძმის**

**ამირან ქავთარაძის**

**გარდაცვალების გამო.**

# ბოლო გვერდი



## სულიერება

# ღვთისმშობლის ხატის „ღირს არს“ დღესასწაული



**24 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის „ღირს არს“ – (მოწყალე) ხსენებას.**

**...ათონზე, კონსტანტინე დიდის მიერ დაარსებულ მონასტერში არის სასწაულთმოქმედი ხატი, რომელსაც ღირს არსი ეწოდება.**

აი, რატომაა განსაკუთრებულად განდიდებული ეს ხატი;

...ერთხელ აღდგომის დღეს, ღამისთევაზე დასასწრებად ერთი ბერი კარეასის ეკლესიაში წავიდა, თავისი მოწაფე სენაკის სადარაჯოდ დარჩა და მისგან ბრძანება მიიღო, რომ მსახურება შინ შეესრულებინა. დაღამებისთანავე მან კაკუნი გაიგონა. როდესაც კარი გამოაღო, დაინახა უცნობი ბერი, რომელიც პატივით მიიღო, როცა ღამისთევის ლოცვის აღსრულების დრო დადგა, მათ ერთად დაიწყეს გალობა. ყოვლაწმიდა ღვთისმშობლის სადიდებლად მათ წამოიწყეს კოზმა მაიუმელის ძველი საგალობელი – „უპატიოსნესა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა...“, მაგრამ საოცარმა სტუმარმა თქვა, რომ ჩვენთან ასე ადიდებენო ღვთისმშობელს: „ღირს არს ჭეშმარიტად რათა გადიდებდეთ შენ ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლად უბიწოდ და დედად ღვთისა ჩვენისა“...

ახალგაზრდა ბერს გული აუჩუყდა, როცა ჯერ არსმენილი გალობა გაიგონა და სტუმარს ვედრება დაუწყო, რომ ღვთისმშობლის ამგვარი დიდება მისთვისაც ესწავლებინა, მაგრამ სენაკში არც მელანი და არც ქაღალდი არ აღმოჩნდა. მაშინ სტუმარმა გადაწყვიტა საგალობელი ქვაზე დაეწერა. საოცარი სტუმრის ხელში ქვა ცვილივით დარბილდა და სიტყვები ღრმად ამოიკვეთა.

...მორჩილმა ბერს ქვა აჩვენა, წმიდა მთის ეკლესიაში ღვთისმშობელს ახლებურად ადიდებდნენ ამ ამბის შემდეგ.

თურმე ეს უცნაური სტუმარი მთავარანგელოზი ყოფილა. მას შემდეგ ეკლესიები მთავარანგელოზ გაბრიელის გალობას აღასრულებენ.

**გიული ლიპარტია**

## კროსვორდი



**შვეულად.** 1. რისამე სწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით. 2. ხისლანჩიანი ფეხსაცმელი. 3. სილიციუმის წყალბადნაერთი. 4. რომის პაპი XIX-XX საუკუნეში. 5. ძველებური ქართული გუნდური შეჯიბრება ცხენოსნობაში. 6. წერილობითი თხოვნა, საჩივარი. 7. ახალმონათესავე მცენარეთა შეჯვარება. 14. საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი. 15. პოლონელი მწერალი. 16. რისამე ფასი კერძო ბაზარში. 18. ავგაროზი, შანა. 19. საფრანგეთში: მოძღვარი, მღვდელი. 20. მიკროსკოპული ერთუჯრედიანი ცხოველი. 23. ზოგიერთი უმაღლესი სპეცსასწავლებლისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სახელწოდება. 26. იტალიის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე – მარშალი. 28. ინგლისელი ბუნებისმეტყველი. 29. გრძელი ფართო წამოსასხამი. 31. ერთგვარი ქანწარმომქმნელი თეთრი ფერის მინერალი. 33. ბერძნული ანბანის ყველაზე პატარა ასო. 34. ხელოსანი, რომელიც აკეთებს შენობის ხის ნაწილებს, ან ხისგან აშენებს სახლებს.

**თარაზულად.** 3. ექვსატომიანი სპირტი. 8. ქიმიური ელემენტი თეთრი ლითონი, იყენებენ ოპტიკური მინის წარმოებაში. 9. მოკლე დისტანციაზე სირბილი, ცურვა და მისთ. 10. მურა ნახშირი დაბალი ხარისხისა. 11. გარედან ჩასაცმელი გრძელი სახელოებიანი ჩასაცმელი. 12. სიყვარულის ღმერთი, ღმერთქალ ვენერას ვაჟი. 13. ჟანგბადიანი ნაერთი, რომელიც წყალბადთან შეერთებით იძლევა მჟავას. 16. დაბა ყირიმის ოლქში. 17. პერიოდული სხდომა, რომელსაც ატარებენ წარმომადგენლობითი ორგანოები. 19. ტუჩოსანთა ოჯახის მცენარე იყენებენ კულინარიაში, მედიცინასა და პარფიუმერიაში. 21. თეთრი ძვირფასი თვალი. წარმოიშვება ზოგიერთი მოლუსკის სხეულში. 22. ქრისტიანულ რელიგიაში: ავი სული, ეშმაკი. 24. ბალახოვანი მცენარე პარკოსანთა ოჯახისა, აქვს სამყურა ფოთლები. 25. კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღვარი. 26. უნგრელი ისტორიკოსი. 31. კათოლიკურ ეკლესიაში უმაღლესი სასულიერო პირი. 32. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. 34. სოფელი კასპის რაიონში. 35. დიდი წარმატების, ბრწყინვალე გამარჯვებით გამოწვეული ზეიმი. 36. ინგლისელი ქიმიკოსი. 37. დესპოტიზმი, თვითნებობაზე და ძალადობაზე დამყარებული მმართველობა. 38. შუაკაცი მოდავე მხარეთა შორის. მედიატორი.

შეადგინა
**ზინა ლობჟანიძემ**

### 16 ივნისს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**შვეულად.** 1. ფერმი. 2. ენოტი. 5. კეისარი. 6. კრონოსი. 7. მატროსი. 8. აზბესტი. 11. ფცა. 12. აზო. 13. ოდა. 17. აზნაური. 18. ტარაბუა. 21. უპე. 25. მუნდირი. 26. ანტანტა. 27. ენისელი. 28. სტატუსი. 31. ელი. 32. უნუ. 33. აია. 37. ემისი. 38. ლარვა.

**თარაზულად.** 3. დეა. 4. ინო. 9. ფერმერი. 10. კარტუზი. 14. ხცისი. 15. ანაბარი. 6. დენდი. 19. კრიზისი. 20. ასფალტი. 22. ნაა. 23. სპა. 24. კაა. 29. გუდრონი. 30. ინცუხტი. 34. პლედი. 35. პარნასი. 36. იტრია. 39. კრამიტი. 40. ალიანსი. 41. ასი. 42. ევა.

## ანეკდოტები

**პეტკას ორი საყვარელი გამოთქმა ჰქონდა: „მაცალე გამოძინება“ და „მე შენგან კაცს გამოვიყვან“. დაშამ აცალა მას გამოძინება და ცხრა თვის შემდეგ მისგან მართლაც გამოვიდა კაცი.**

* * *

**– მოშე, გაიგე, აბრამი სერიოზულად დაავადებულა!**

**– საინტერესოა, რაში დასჭირდა ეს?**



* * *

**უთავო მხედარი ერთადერთია, ვინც კმაყოფილია პასპორტში ჩაკრული თავისი სურათით.**

* * *

**სამედიცინო დათვალიერებას გავდივარ. ფსიქოლოგთან შევდივარ. კაბინეტში ოთხი სკამი დგას. შუაში მდგარზე დაჯექიო, მეუბნება. რომელია ახლა ჩვენს შორის ფსიხი?**

* * *

**– გოგოებს რა გიჭირთ, თქვენთვის იოლია ყურადღების მიპყრობა – ჩაიცვამთ წითელ კაბას და მორჩა!**

**– პრინციპში ბიჭებისთვისაც ძალიან იოლია ამის გაკეთება: ჩაიცვან წითელი კაბა და მორჩა!**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



**ალდამოვი საქართველოს ტერაქტების მოწყობაში სდებს ბრალს**

საქართველოდან გადახვეწილმა ხიზრი ალდამოვმა ჩვენს ხელისუფლებას მორიგი სიურპრიზი მოუმზადა. რუსულ მედიას მან საქართველოს ხელისუფლების გეგმები გააცნო. ალდამოვის მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლება ჩეჩენ ბოევიკებთან არის კავშირში და მრავალი ტერაქტის ორგანიზატორია.

**„ახალი თაობა“.**

**სასამართლოები ბოლომდე იხურება**

სასამართლოებში, ფოტო და ვიდეოაპარატურის გარდა, მობილური ტელეფონებისა და ჩაწერის ფუნქციის მქონე სხვა ტექნიკური საშუალებების შეტანაც აიკრძალა. იურისტები ვარაუდობენ, რომ ეს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას ძალიან დაძაბავს. თბილისის საქალაქო სასამართლოში მისულ პირებს ურიგებენ სასამართლოს თავმჯდომარის 19 ივნისის ბრძანებულებას, რომლის თანახმადაც სასამართლოში ყოველგვარი ტექნიკური საშუალებების შეტანა იკრძალება.

**„რეზონანსი “.**

**სამეგრელოს რეგიონის „კარდაკარის“ შედეგები**

როგორც ამბობენ, ამ რეგიონში კონფლიქტური სიტუაციები ნამდვილად არ შექმნილა. იყო ისეთი ხალხიც, ვინც ამბობდა, არჩევნებს მაინც გააყალბებენო, მაგრამ ყველა რეგისტრატორი მკაცრად იცავდა ინსტრუქციას და არც დებატებში შედიოდნენ, არც პოლიტიკურ აგიტაციას ეწეოდნენ, საბოლოო ჯამში აქ ხალხი „კარდაკარს“ ნორმალურად შეხვდა. ამბობდნენ, მგონი, მეგრელებმა ჭკუა ვისწავლეთ და ზუსტად ვიცით, რომ ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ არჩევნების გზით არის შესაძლებელიო.

**„ვერსია“.**


*იპოვეთ ერთმანეთი!*

**დაოჯახების მსურველთა საყურადღებოდ!**



**შეარჩიეთ და გაიცანით თქვენთვის სასურველი ადამიანი.**

**მარტოობა დამღუპველია.**

**შექმენით ოჯახი და ეწიეთ ბედნიერებას.**

**ჩვენი გაზეთი ოჯახური ბედნიერების მსურველთა განცხადებებს დაბეჭდავს უფასოდ.**

**ჩვენი ელექტრო მისამართია:** sakresp@mail.ru **და** sakresp.@wanex.ge

**რეკლამა** **გ. ახვლედიანის ქ. №19.**

*„საქართველოს რესპუბლიკაში“*

**299-62-77; 599 32-85-76.**


## კადრი




**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

**გამომცემლები:**
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
**ალეკო ასლანიშვილი**
**299-62-77; 599 56-81-86**

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24